

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2024 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

სარჩევი

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება	5
კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	6
კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	7
კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	8
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები.....	9-58

დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ ხელმძღვანელობას და პარტნიორებს

მოსაზრება

ჩავატარეთ შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ და მისი შვილობილი საწარმოების (შემდგომში „ჯგუფი“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგების, კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგებისგან, ასევე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებსა და კონსოლიდირებული ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებელი ვართ ჯგუფისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება საქართველოში კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტს და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.

ფუნქციონირებად საწარმოსთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა

გვინდა, ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მე-2 შენიშვნაზე, რომლის მიხედვითაც 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის მოკლევადიანი ვალდებულებები მის მოკლევადიან აქტივებს 791,154 ათასი ლარით აღემატებოდა. ეს მოვლენა, მე-2 შენიშვნაში მითითებულ სხვა საკითხებთან ერთად, მიანიშნებს არსებით განუსაზღვრელობაზე, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი გამოიწვიოს იმასთან დაკავშირებით, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აზრები – გარიგებები დაკავშირებულ მხარეებთან

გვინდა ყურადღება გავამახვილოთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების 22-ე შენიშვნაზე, რომელიც ეხება დაკავშირებულ მხარეებთან ჯგუფის გარიგებების მნიშვნელოვან კონცენტრაციას. ჩვენი მოსაზრება ამ საკითხთან მიმართებაში მოდიფიცირებული არ არის.

ჯგუფის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია

სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია ჯგუფის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა. ჯგუფის 2024 წლის მმართველობის ანგარიშგება ჩვენთვის ხელმისაწვდომი სავარაუდოდ გახდება აუდიტორის წინამდებარე დასკვნის თარიღის შემდეგ.

ჩვენი მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს სხვა ინფორმაციას და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გავცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას, როდესაც ის ჩვენთვის ხელმისაწვდომი გახდება და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს ჯგუფის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

აუდიტორის პასუხისმგებლობა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ ჯგუფის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.

- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძველად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა ჯგუფის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება ჯგუფი უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.
- ▶ ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძველად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.
- ▶ ვგეგმავთ და ვატარებთ ჯგუფის აუდიტს, რათა მოვიპოვოთ საკმარისი და შესაფერისი აუდიტის მტკიცებულებები ჯგუფში შემავალი საწარმოებისა და სხვა ერთეულების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რომლის საფუძველზეც ვაყალიბებთ მოსაზრებას კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შესახებ. ჩვენ ვართ პასუხისმგებლები ჯგუფის აუდიტის მიზნით ჩატარებული აუდიტორული სამუშაოების ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და მიმოხილვაზე. მხოლოდ ჩვენ ვართ პასუხისმგებელი ჩვენს აუდიტორულ მოსაზრებაზე.

მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს, სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.



ანა კუსრაშვილი (SARAS-A-169041)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

2025 წლის 8 ივლისი

თბილისი, საქართველო

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	6	2,038,029	2,051,969
ბუნებრივი გაზის თვითღირებულება		(1,026,046)	(1,069,752)
ნავთობპროდუქტების თვითღირებულება		(458,147)	(463,526)
სხვა გაყიდული საქონლის თვითღირებულება		(28,974)	(27,517)
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები		(104,959)	(86,304)
გაზის ტრანსპორტირების საფასური		(102,546)	(92,006)
ცვეთა	9, 11	(57,412)	(55,084)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის შექმნილი ანარიცხები, წმინდა	8	(422)	(1,063)
ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირება		(5,752)	(5,570)
სარეკლამო ხარჯები		(4,000)	(4,119)
საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	10	1,621	2,480
სხვა საოპერაციო ხარჯები	7	(97,933)	(91,767)
საოპერაციო მოგება		153,459	157,741
საკუროსო სხვაობით განპირობებული (ზარალი)/შემოსულობა, წმინდა		(17,794)	13,561
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა/(ზარალი)	9	3,281	(495)
შემოსულობა საინვესტიციო ქონების გასვლიდან		–	53
ფინანსური შემოსავალი	17	13,228	25,712
ფინანსური დანახარჯები	17	(96,199)	(95,017)
მოგება დაბეგვრამდე		55,975	101,555
მოგების გადასახადის ხარჯი		–	–
წლის მოგება		55,975	101,555
სხვა სრული შემოსავალი		–	–
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		55,975	101,555

ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2025 წლის 8 ივლისს შემდეგი პირების მიერ:

გიორგი ჯაფარიძე
აღმასრულებელი დირექტორი

9-58 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“


კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
ამონაგები	6	2,038,029	2,051,969
ბუნებრივი გაზის თვითღირებულება		(1,026,046)	(1,069,752)
ნავთობპროდუქტების თვითღირებულება		(458,147)	(463,526)
სხვა გაყიდული საქონლის თვითღირებულება		(28,974)	(27,517)
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოები		(104,959)	(86,304)
გაზის ტრანსპორტირების საფასური		(102,546)	(92,006)
ცვეთა	9, 11	(57,412)	(55,084)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის შექმნილი ანარიცხები, წმინდა	8	(422)	(1,063)
ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირება		(5,752)	(5,570)
სარეკლამო ხარჯები		(4,000)	(4,119)
საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	10	1,621	2,480
სხვა საოპერაციო ხარჯები	7	(97,933)	(91,767)
საოპერაციო მოგება		153,459	157,741
საკურსო სხვაობით განპირობებული (ზარალი)/შემოსულობა, წმინდა		(17,794)	13,561
მირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა/(ზარალი)	9	3,281	(495)
შემოსულობა საინვესტიციო ქონების გასვლიდან		-	53
ფინანსური შემოსავალი	17	13,228	25,712
ფინანსური დანახარჯები	17	(96,199)	(95,017)
მოგება დაბეგვრამდე		55,975	101,555
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლის მოგება		55,975	101,555
სხვა სრული შემოსავალი		-	-
წლის მთლიანი სრული შემოსავალი		55,975	101,555

ხელმძღვანელობის სახელით ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2025 წლის 8 ივლისს შემდეგი პირების მიერ:


 გიორგი გოგორიძე
 აღმასრულებელი დირექტორი

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

31 დეკემბრის მდგომარეობით

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	9	1,076,462	1,035,193
აქტივების გამოყენების უფლება	11	23,189	27,275
საინვესტიციო ქონება	10	19,872	18,251
არამატერიალური აქტივები		4,262	2,929
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,123,785	1,083,648
მოკლევადიანი აქტივები			
მარაგები	12	36,741	56,170
სავაჭრო მოთხოვნები	13	312,957	231,490
სხვა აქტივები	14	6,942	16,942
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	16	13,201	15,912
სულ მოკლევადიანი აქტივები		369,841	320,514
სულ აქტივები		1,493,626	1,404,162
საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები			
საკუთარი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი	15	409,291	409,291
დამატებითი მთლიანად ანაზღაურებული სააქციო კაპიტალი	15	144,943	144,943
დაგროვილი ზარალი		(433,832)	(489,807)
სულ საკუთარი კაპიტალი		120,402	64,427
გრძელვადიანი ვალდებულებები			
პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები	17	11,852	46,935
სახელმწიფო გრანტები	18	101,441	112,686
გრძელვადიანი ვალდებულება ძირითადი საშუალებების შეძენიდან	18	78,705	74,652
საიჯარო ვალდებულებები	11	20,231	23,604
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		212,229	257,877
მოკლევადიანი ვალდებულებები			
პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები	17	647,831	698,231
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	19	471,432	342,055
საგადასახადო ვალდებულებები, წმინდა		12,885	15,595
საიჯარო ვალდებულებები	11	5,234	4,789
სახელმწიფო გრანტები	18	16,962	16,071
სახელშეკრულებო ვალდებულებები	6	6,651	5,117
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1,160,995	1,081,858
სულ ვალდებულებები		1,373,224	1,339,735
სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები		1,493,626	1,404,162

9-58 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	საწესდებო კაპიტალი (მე-15 შენიშვნა)	დამატებითი მთლიანად ანაზღაურებუ- ლი სააქციო კაპიტალი (მე-15 შენიშვნა)	დაგროვილი ზარალი	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	409,291	144,943	(591,362)	(37,128)
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	–	101,555	101,555
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	409,291	144,943	(489,807)	64,427
წლის მთლიანი სრული შემოსავალი	–	–	55,975	55,975
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	409,291	144,943	(433,832)	120,402

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფულადი ნაკადების ანგარიშგება

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

	შენიშვნა	2024	2023
საოპერაციო საქმიანობა			
მოგება დაბეგვრამდე		55,975	101,555
არაფულადი კორექტირებები გადასახადით დაბეგვრამდე მოგების წმინდა ფულად ნაკადებთან შესაბამისობაში მოყვანის მიზნით			
ცვეთა	9,11	57,412	55,084
ამორტიზაცია		498	563
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული (შემოსულობა)/ზარალი		(3,281)	495
შემოსულობა საინვესტიციო ქონების გასვლიდან		–	(53)
შემოსავალი სახელმწიფო გრანტიდან	18	(16,314)	(8,440)
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის შექმნილი ანარიცხები, წმინდა	8	422	1,063
საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების ცვლილება	10	(1,621)	(2,480)
სათადარიგო ნაწილების და სხვა მარაგების ჩამოწერა	7	3,306	2,074
საკუროს სხვაობით განპირობებული წმინდა ზარალი/(შემოსულობა)			
საინვესტიციო და საფინანსო საქმიანობებზე		15,993	(2,459)
ფინანსური დანახარჯები	17	96,199	95,017
ფინანსური შემოსავალი	17	(13,228)	(25,712)
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები საბრუნავი კაპიტალის ცვლილებამდე		195,361	216,707
<i>საბრუნავი კაპიტალის კორექტირებები:</i>			
ცვლილება მარაგებში		16,123	31,634
ცვლილება სავაჭრო მოთხოვნებში		(81,213)	92,025
ცვლილება სხვა აქტივებში		9,431	(7,939)
ცვლილება საგადასახადო აქტივებში, წმინდა		–	51
ცვლილება საგადასახადო ვალდებულებებში, წმინდა		(2,710)	(4,106)
ცვლილება სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში		119,616	(231,626)
ცვლილება სახელშეკრულებო ვალდებულებებში		1,534	(25)
		258,142	96,721
გადახდილი მოგების გადასახადი		–	–
საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი ნაკადები		258,142	96,721
საინვესტიციო საქმიანობა			
ძირითად საშუალებებში გადახდილი თანხები		(93,683)	(59,601)
არამატერიალურ აქტივებში გადახდილი თანხები		(1,831)	(630)
შემოსულობა საინვესტიციო ქონების გაყიდვიდან	10	–	53
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		14,510	7,219
შემოსულობა გაცემული სესხებიდან		–	134
საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(81,004)	(52,825)
საფინანსო საქმიანობა			
შემოსულობა სესხებიდან და ნასესხები სახსრებიდან	17	355,653	323,979
სესხების და ნასესხები სახსრების დაფარვა	17	(460,557)	(310,269)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	11	(5,014)	(4,225)
გადახდილი პროცენტი	11,17	(69,435)	(64,116)
საფინანსო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი ნაკადები		(179,353)	(54,631)
ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა შემცირება		(2,215)	(10,735)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 1 იანვარს	16	15,912	27,524
წმინდა საკუროს სხვაობები ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე		(496)	(877)
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები 31 დეკემბერს	16	13,201	15,912

მნიშვნელოვანი არაფულადი ოპერაციები განხილულია 24-ე შენიშვნაში.

9-58 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში, თუ სხვაგვარად არ არის მითითებული)

1. კორპორაციული ინფორმაცია

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“ (შემდგომში „კომპანია“), საიდენტიფიკაციო კოდი: 202349440, არის შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, რომელიც დაარსებულია და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია არის საქართველოში რეგისტრირებული რეზიდენტი კომპანიების ჯგუფის ჰოლდინგური საწარმო (შემდგომში „ჯგუფი“). კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, 300 არაგველის ქ. #24.

ჯგუფს აკონტროლებს აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანია („მშობელი საწარმო“ ან „სოკარი“), რომელიც კომპანიის საწესდებო კაპიტალის 91.835%-ს ფლობს. კომპანიის არამაკონტროლებელ წილს ფლობს კომპანია „Intersun Holding FZCO“ (8.165%). ჯგუფის საბოლოო მაკონტროლებელი მხარე არის აზერბაიჯანის რესპუბლიკის მთავრობა.

ჯგუფის ძირითადი საოპერაციო საქმიანობაა ნავთობპროდუქტების იმპორტი და მიყიდვა საცალო და საბითუმო მომხმარებლებისთვის ბენზინგასამართ სადგურებსა და ნავთობის ბაზებზე, ასევე ბუნებრივი გაზის იმპორტი და დისტრიბუცია იურიდიულ პირებსა და საყოფაცხოვრებო მომხმარებლებზე საქართველოს რეგიონებში გაზის გამანაწილებელი ქსელით. ინფორმაცია ჯგუფის სტრუქტურის შესახებ მოცემულია 3.2 შენიშვნაში. ინფორმაცია ჯგუფის სხვა დაკავშირებულ მხარეებთან ურთიერთობის შესახებ წარმოდგენილია 22-ე შენიშვნაში.

2. ფუნქციონირებადი საწარმო

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფის მოკლევადიანი ვალდებულებები მის მოკლევადიან აქტივებს 791,154 ლარით აღემატებოდა (2023 წლის 31 დეკემბერს: 761,344 ლარი). ეს მოვლენა მიანიშნებს არსებითი განუსაზღვრელობის არსებობაზე, რამაც შეიძლება მნიშვნელოვანი ეჭვი წარმოშვას იმასთან დაკავშირებით, აქვს თუ არა ჯგუფს უნარი, გააგრძელოს საქმიანობა როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ.

ჯგუფი თავისი საწარმოო სიმძლავრის გაზრდის პროცესშია და ამის გამო მნიშვნელოვან კაპიტალურ და საოპერაციო დანახარჯებს გასწევს. 2008 წელს ბუნებრივი გაზგამანაწილებელი ქსელის შესყიდვის შემდეგ ჯგუფმა მნიშვნელოვანი საინვესტიციო ვალდებულებები აიღო, რომლის მიზანიც გამანაწილებელი ქსელების გაფართოება და ქსელთან ახალი აბონენტების მიერთება იყო. 2008 წლიდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე გაზიფიცირების ქსელის განვითარებაში განხორციელდა 980,000 ლარზე მეტი ინვესტირება და 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ბუნებრივი გაზის აბონენტების რაოდენობა დაახლოებით 570 ათასამდე გაიზარდა.

თავისი კაპიტალი და საოპერაციო საჭიროებები ჯგუფმა დააფინანსა პარტნიორების დახმარებით საკუთარი კაპიტალის, სესხებისა და მშობელი საწარმოს მიერ მოწოდებული კრედიტის, ასევე საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოებისა და ადგილობრივი ბანკებისგან აღებული უფრო მცირე სესხებით. ჯგუფმა დაფინანსების დიდი ნაწილი მშობელი საწარმოსგან მოიპოვა მომწოდებლის კრედიტის სახით, რომელიც მიმართა კაპიტალური დანახარჯების დასაფინანსებლად. ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ პარტნიორებს აქვთ სურვილი და შესწევთ უნარი, განაგრძონ ჯგუფის მხარდაჭერა, რაც პარტნიორების ბოლოდროინდელი ქმედებებით და ასევე ჯგუფის ხელმძღვანელობასთან გამართული შეხვედრებით და მოლაპარაკებებით დასტურდება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

2. ფუნქციონირებადი საწარმო (გაგრძელება)

ხელმძღვანელობის შეფასებით, ჯგუფს დასჭირდება დაახლოებით 675,000 ლარის ოდენობის დამატებითი დაფინანსება 2025 წლის 1 იანვრიდან 2026 წლის 8 ივლისამდე. ეს დანაკლისი არ მოიცავს მშობელი საწარმოს მიმართ არსებული ვალდებულებების შემდგომ შემცირებას. ჯგუფი დარწმუნებულია, რომ მშობელი საწარმო თანახმა იქნება განჭვრეტად მომავალში მომწოდებლის კრედიტის არსებულ დონეზე შენარჩუნებაზე. თუმცა ეს შეფასება არ მოიცავს 2026 წლის 8 ივლისამდე დაფარვის ვადის მქონე ყველა სესხის დაფარვას, რადგან დღეს ჯგუფისთვის ხელმისაწვდომი არ არის აუთენტიკური საკრედიტო ხაზი. მიუხედავად ამისა, ხელმძღვანელობა მოელოა, რომ ბანკებთან განვლილი გამოცდილების გათვალისწინებით ის შესძლებს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღიდან 12 თვის განმავლობაში ვადადამდგარი სესხებისა და ნასესხები სახსრების მნიშვნელოვანი ნაწილის რესტრუქტურისა და გახანგრძლივებას.

2025 წლის განმავლობაში, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღამდე ჯგუფმა გადაიხადა 195,676 ლარის ოდენობით სესხები, რომელთა დაფარვის ვადაც ამ პერიოდზე მოდიოდა და განახორციელა მთლიანობაში 319,665 ლარის ღირებულების სესხების რესტრუქტურისა და რეფინანსირება.

წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ეფუძნება მიმდინარე მოლოდინებს და პროგნოზებს. არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა ისეთ მოვლენებსა და პირობებთან დაკავშირებით, რომლებმაც შეიძლება მნიშვნელოვანი ექვი გამოიწვიოს საწარმოს მიერ ფუნქციონირებად საწარმოდ დარჩენის უნართან დაკავშირებით და, შესაბამისად, მან შესაძლოა ვერ შეძლოს მისი აქტივების რეალიზაცია და ვალდებულებების დაფარვა საქმიანობის ნორმალურ პირობებში. ამ რისკებს და განუსაზღვრელობებს, რომელთა უმრავლესობა ხელმძღვანელობის კონტროლს არ ექვემდებარება, შესაძლოა ჰქონდეთ საანგარიშგებო თარიღით გაკეთებული განცხადებებისგან განსხვავებული შედეგები. დღეის მდგომარეობით, ყველა ოპერაცია ეფუძნება იმ დაშვებას, რომ საქმიანობა გაგრძელდება და წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფარვას ჩვეული საქმიანობის პროცესში.

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა

3.1 მომზადების საფუძველი

ჯგუფის წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს („ბასს“) მიერ გამოცემული ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („ფასს“) შესაბამისად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების საფუძველზე, გარდა სამართლიანი ღირებულებით შეფასებული საინვესტიციო ქონებისა. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში და დამრგვალებულია ათასამდე, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.2 კონსოლიდაციის საფუძველი

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება შედგება კომპანიისა და მისი შვილობილი საწარმოების ფინანსურ ანგარიშგებებისგან 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ინფორმაცია შვილობილი საწარმოების შესახებ

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგ შვილობილ საწარმოებს:

შვილობილი საწარმოები	% სააქციო წილი		რეგისტრაციის ქვეყანა	ძირითადი საქმიანობა
	2024	2023		
შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“	100%	100%	საქართველო	ნავთობპროდუქტები ბუნებრივი გაზით კომუნალური მომსახურება
შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“	100%	100%	საქართველო	მომსახურება
შპს „სოკარ ჯორჯია სექიურითი“	100%	100%	საქართველო	სხვა
შპს „ს მარკეტს“	100%	100%	საქართველო	საცალო ვაჭრობა
შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი სამტრედია“	75%	75%	საქართველო	ნავთობპროდუქტები
შპს „ინდუსტრი კომპანი“	100%	100%	საქართველო	მშენებლობა
შპს „ობიექტი“	55%	55%	საქართველო	ნავთობპროდუქტები
შპს „International Railway Expedition“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
შპს „ყუღევის ნავთობტერმინალი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო ბუნებრივი გაზით კომუნალური მომსახურება
შპს „თელავგაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „წყალტუბო გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ბაღდადი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ხესტაფონი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „აბაშა გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ზუგდიდი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ახმეტა გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „დედოფლისწყარო გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ხარაგაული გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ჩოხატაური გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ლაგოდეხი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ყვარელი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „საგარეჯო გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „გურჯაანი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „სიღნაღი გაზი“	91.88%	91.88%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ოზურგეთი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ლანჩხუთი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ჭიათურა გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ხობი გაზი“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ფოთის ბუნებრივი გაზის კომპანია“	100%	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია ჯგუფის მიერ თავისი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა:

(ა) სამართლიანი ღირებულების შეფასება

ჯგუფი თავის ისეთ ფინანსურ აქტივებს, როგორც არის საინვესტიციო ქონება, სამართლიანი ღირებულებით აფასებს ბალანსის ყოველ თარიღში. ჯგუფი არ ფლობს ბალანსში სამართლიანი ღირებულებით შეფასებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს.

ჯგუფი იყენებს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, და რომლებშიც მაქსიმალურად გამოიყენება ემპირიული და მინიმალურად - არაემპირიული ამოსავალი მონაცემები.

ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემების საფუძველზე, რომელიც მთლიანობაში მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებებისას:

- ▶ 1-ლი დონე – იდენტური აქტივების ან ვალდებულებების კოტირებული (დაუკორექტირებელი) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზარზე.
- ▶ მე-2 დონე - შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- ▶ მე-3 დონე - შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების იერარქიის ერთი დონიდან მეორეში გადასვლის ფაქტს ჯგუფი განსაზღვრავს კატეგორიზაციის ხელახლა შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

ჯგუფი საინვესტიციო ქონებისთვის განსაზღვრავს სამართლიანი ღირებულების განმეორებით შეფასების პოლიტიკებს და პროცედურებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ისეთი მნიშვნელოვანი აქტივების შეფასებაში, როგორც არის საინვესტიციო ქონება, გარე ან შიდა შემფასებლები არიან ჩართული. ჯგუფი ყოველწლიურად განსაზღვრავს გარე ან შიდა შემფასებლების ჩართულობას. შერჩევის კრიტერიუმები მოიცავს ბაზრის ცოდნას, რეპუტაციას, დამოუკიდებლობას და იმ ფაქტს, დაცულია თუ არა პროფესიული სტანდარტები. ჯგუფის გარე ან შიდა შემფასებლებთან განხილვების შემდეგ, ჯგუფი განსაზღვრავს რომელი შეფასების მეთოდი და ამოსავალი მონაცემები გამოიყენონ თითოეული შემთხვევისთვის.

სამართლიანი ღირებულების შესახებ განმარტებითი შენიშვნის მიზნებისთვის, ჯგუფმა აქტივების და ვალდებულებების კლასი განსაზღვრა აქტივის ან ვალდებულების ხასიათის, თვისებებისა და რისკების ან, ზემოაღნიშნული განმარტების შესაბამისად, სამართლიანი ღირებულების იერარქიის დონის მიხედვით.

ფინანსური ინსტრუმენტების და არაფინანსური აქტივების სამართლიანი ღირებულების ანალიზი და დამატებითი დეტალები მათი შეფასების მეთოდების შესახებ მოცემულია მე-10 და 21-ე შენიშვნებში.

(ბ) უცხოური ვალუტა

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ლარში, რომელიც ასევე ჯგუფის სამუშაო ვალუტაა. ჯგუფი ყოველი საწარმოსთვის განსაზღვრავს სამუშაო ვალუტას და თითოეული მათგანის ფინანსურ ანგარიშგებაში შესული მუხლები ფასდება ამ სამუშაო ვალუტის გამოყენებით. ჯგუფის ყველა შვილობილი საწარმოს სამუშაო ვალუტა ლარია, რადგან ლარი იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტაა, რომელშიც კომპანია და მისი შვილობილი საწარმოები ფუნქციონირებენ.

(გ) ფინანსური ინსტრუმენტები – საწყისი აღიარება და შემდგომი შეფასება

(i) ფინანსური აქტივები

საწყისი აღიარება და შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური აქტივების კლასიფიცირება ხდება, როგორც შემდგომში შეფასებული ამორტიზებული ღირებულებით, სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში და სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით. ჯგუფის არ ფლობს სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ან სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით შეფასებულ ფინანსურ აქტივებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემდგომი შეფასება

ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები შემდგომ ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით (EIR) და ექვემდებარება გაუფასურებას. შემოსულობა და ზარალი კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში აღიარდება მაშინ, როდესაც წყდება აქტივის აღიარება, ან ხდება აქტივის მოდიფიცირება ან გაუფასურება.

ჯგუფის ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები მოიცავს ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს, გაცემულ სესხებს და სავაჭრო მოთხოვნებს და სხვა მოკლევადიან აქტივებში შესულ სხვა მოთხოვნებს.

ფინანსური აქტივების გაუფასურება

ფინანსური აქტივების გაუფასურებასთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია წარმოდგენილია შემდეგ შენიშვნებში:

- ▶ მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა, შეფასებები და დაშვებები (მე-5 შენიშვნა);
- ▶ სავაჭრო მოთხოვნები (მე-13 შენიშვნა).

ჯგუფი ყველა ფინანსური აქტივისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს ამორტიზებული ღირებულებით აღიარებს.

სავაჭრო მოთხოვნებისა და სხვა აქტივებში შესული სხვა მოთხოვნებისთვის ჯგუფი იყენებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გამოთვლის გამარტივებულ მეთოდს. შესაბამისად, ჯგუფი ნაცვლად საკრედიტო რისკების ცვლილებების აღრიცხვისა, აღიარებს ზარალის რეზერვს არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის საფუძველზე ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის. ჯგუფმა შეადგინა ანარიცხების მატრიცა, რომელიც ეყრდნობა საკრედიტო ზარალის წარსულ გამოცდილებას და დაკორექტირებულია დებიტორებისა და ეკონომიკური გარემოსთვის დამახასიათებელი საპროგნოზო ფაქტორების შესაბამისად.

საკრედიტო დაწესებულებებში არსებული თანხებისთვის (ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში), ჯგუფი მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ანგარიშობს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდის გამოყენებით. 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. თუმცა, როდესაც წარმოშობის თარიღის შემდგომ ადგილი აქვს საკრედიტო რისკის მნიშვნელოვან ზრდას, რეზერვი დაეფუძნება არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მეთოდს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფი ფინანსურ აქტივს ვადაგადაცილებულად მიიჩნევს, როდესაც სახელშეკრულებო გადახდები ვადაგადაცილებულია 90 დღით. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, ჯგუფმა შეიძლება ფინანსური აქტივი ვადაგადაცილებულად მაშინაც მიიჩნიოს, როდესაც შიდა ან გარე ინფორმაცია მიანიშნებს იმაზე, რომ სავარაუდოდ ჯგუფი სრულად ვერ მიიღებს დაუფარავ სახელშეკრულებო თანხებს, ჯგუფის მფლობელობაში არსებული საკრედიტო რისკის შემცირების საშუალებების გათვალისწინების გარეშე. ფინანსური აქტივი ჩამოიწერება მაშინ, როდესაც არ არსებობს გონივრული მოლოდინი იმისა, რომ სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღება მოხდება. ადრე ჩამოწერილი თანხების შემდგომი ამოღება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში ამცირებს ფინანსური აქტივების გაუფასურების დანარიცხს.

(ii) ფინანსური ვალდებულებები

საწყისი აღიარება და შეფასება

საწყისი აღიარებისას ფინანსური ვალდებულებები ნაწილდება შემდეგ კატეგორიებში: სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ფინანსური ვალდებულება მოგებაში ან ზარალში ასახვით, სესხები და ნასესხები სახსრები, ვალდებულებები ან წარმოებული ვალდებულებები, რომლებიც განისაზღვრება ჰეჯირების ინსტრუმენტებად ეფექტური ჰეჯირების განხორციელების დროს, ვითარებიდან გამომდინარე.

ჯგუფი ახდენს მომწოდებლის ფინანსური გარიგებიდან წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების კლასიფიცირებას სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში კონსოლიდირებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, თუ მათ აქვთ სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მსგავსი ხასიათი და ფუნქცია. ამას ადგილი აქვს იმ შემთხვევაში, თუ მომწოდებლის ფინანსური გარიგება წარმოადგენს ჯგუფის ჩვეული ფუნქციონირების ციკლში გამოყენებული საბრუნავი კაპიტალის შემადგენელი ნაწილის სახით, უზრუნველყოფილი უსაფრთხოების დონე სავაჭრო და სხვა ვალდებულებების მსგავსია და იმ ვალდებულებების ვადები, რომლებიც მიწოდების ჯაჭვის ფინანსური გარიგების ნაწილს წარმოადგენს არსებითად განსხვავდება იმ სავაჭრო და სხვა ვალდებულებების ვადებისაგან, რაც რომლებიც არ წარმოადგენს გარიგების ნაწილს. მომწოდებლის ფინანსური გარიგებიდან წარმოშობილ ვალდებულებებთან დაკავშირებული ფულადი ნაკადები, რომლებიც სავაჭრო და სხვა ვალდებულებებზე არის კლასიფიცირებული კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, შესულია საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობებში კონსოლიდირებულ ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში.

ყველა ფინანსური ვალდებულების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და, სესხების, ნასესხები სახსრებისა და ვალდებულებების შემთხვევაში, აკლდება მათთვის პირდაპირ მიკუთვნებადი საოპერაციო დანახარჯები.

ჯგუფის ფინანსური ვალდებულებები მოიცავს სავაჭრო და სხვა ვალდებულებებს, პროცენტთან სესხებსა და ნასესხებ სახსრებს, საიჯარო ვალდებულებებს და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

შემდგომი შეფასება

ფინანსური ვალდებულებების შეფასება დამოკიდებულია მათ კლასიფიკაციაზე, როგორც ეს განხილულია ქვემოთ:

სესხები და ნასესხები სახსრები

საწყისი აღიარების შემდეგ პროცენტის სესხები და ნასესხები სახსრები შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ფასდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში ვალდებულებების აღიარების შეწყვეტის, აგრეთვე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის ამორტიზაციის პროცესში.

ამორტიზებული ღირებულება დაანგარიშდება შესყიდვის ყოველგვარი დისკონტის ან პრემიის, აგრეთვე იმ საზღაურების თუ დანახარჯების გათვალისწინებით, რომლებიც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის განუყოფელი ნაწილია. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით დარიცხული ამორტიზაცია შესულია კონსოლიდირებულ მოგება ზარალში, ფინანსური დანახარჯების მუხლში.

სესხები მშობელი საწარმოსგან

სესხების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდეგ აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით. სხვაობა მიღებულ თანხებსა და თავდაპირველი აღიარებისას სამართლიან ღირებულებას შორის აღირიცხება როგორც დამატებით შეტანილი კაპიტალი, რაც წარმოადგენს მშობელი საწარმოს დამატებით ინვესტიციას ჯგუფში.

ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები

ჯგუფის მიერ გაცემული ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებები არის ისეთი ხელშეკრულებები, რომელთა მიხედვითაც უნდა განხორციელდეს გადახდა, რათა თავდებობის მფლობელს აუნაზღაურდეს ზარალი, რომელსაც ის განიცდის იმის გამო, რომ კონკრეტული დებიტორი ვერ ფარავს დავალიანებას სავალო ინსტრუმენტის პირობების შესაბამისად. ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებების აღიარება თავდაპირველად ხდება სამართლიანი ღირებულებით შეფასებული ვალდებულების სახით, რაც მერე კორექტირდება გარანტიის გაცემისთვის პირდაპირ მიკუთვნებადი გარიგების დანახარჯებით. ამის შემდეგ ვალდებულება ფასდება საანგარიშგებო თარიღისთვის წარმოდგენილი ვალდებულების შესასრულებლად საჭირო დანახარჯების სავარაუდო ოდენობასა და დაგროვილი ამორტიზაციით შემცირებულ აღიარებულ თანხას შორის უდიდესით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

საიჯარო ვალდებულებები

საწყისი აღიარების შემდეგ, საიჯარო ვალდებულება (ა) იზრდება ფინანსური დანახარჯების ოდენობით, რომელიც დაანგარიშდება საწყისი საიჯარო ვალდებულების პერიოდულ საპროცენტო განაკვეთზე გამრავლებით და (ბ) მცირდება გადახდილი იჯარის თანხის ოდენობით.

(დ) საინვესტიციო ქონება

საინვესტიციო ქონება თავდაპირველად თვითღირებულებით ფასდება და იგი საოპერაციო დანახარჯებსაც მოიცავს. საწყისი აღიარების შემდგომ, საინვესტიციო ქონება აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით, რაც ასახავს საანგარიშგებო თარიღში ბაზრის მდგომარეობას. საინვესტიციო ქონების სამართლიან ღირებულებაში ცვლილებით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი შესულია იმ პერიოდის კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში, რომელშიც ისინი წარმოიშობა. სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება წლიური შეფასების საფუძველზე, რომელსაც ატარებს ჯგუფის მიერ დაქირავებული დამოუკიდებელი შემფასებელი ან ჯგუფის წარმომადგენლები, ჯგუფის გადაწყვეტილების მიხედვით.

საინვესტიციო ქონების აღიარება წყდება მათი გასხვისების დროს (ე.ი. თარიღში, როდესაც მიმღებზე გადადის კონტროლი) ან როდესაც საინვესტიციო ქონების ექსპლუატაციიდან საბოლოოდ ხდება ამოღება და მოსალოდნელი არ არის მათი გასხვისებით სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება. წმინდა გასვლის ამონაგებსა და მის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობის აღიარება ხდება აღიარების შეწყვეტის პერიოდის კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში. საინვესტიციო ქონების აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილ შემოსულობა ან ზარალი შესაყვანი საზღაურის თანხა განისაზღვრება ფასს (IFRS) 15-ის გარიგების ფასის განსაზღვრის მოთხოვნების შესაბამისად.

საინვესტიციო ქონების მუხლში გადატანა (ან ამ მუხლიდან გადმოტანა) ხდება მხოლოდ მაშინ, როდესაც აღნიშნული ქონების ექსპლუატაციაში გარკვეული ცვლილება აღინიშნება. საინვესტიციო ქონებიდან მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონების ანგარიშზე ქონების გადატანის შემთხვევაში შემდგომი აღრიცხვისთვის პირობითი ღირებულება არის გამოყენებული ცვლილების თარიღში განსაზღვრული სამართლიანი ღირებულება. თუ მესაკუთრის მიერ დაკავებული ქონება იქცევა საინვესტიციო ქონებად, ჯგუფი ასეთ ქონებას აღიარებს ძირითადი საშუალებების აღრიცხვის პოლიტიკის შესაბამისად სარგებლობაში ცვლილების მოხდენის თარიღამდე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ე) ძირითადი საშუალებები

(i) აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები აღრიცხულია შესყიდვის ღირებულებით ან მშენებლობის თვითღირებულებით, რასაც აკლდება ყოველდღიური ტექნიკური მომსახურების დანახარჯები, დაგროვილი ცვეთა და დაგროვილი გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში. ასეთი ხარჯები მოიცავს ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლისა და ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ დანახარჯებს გრძელვადიანი სამშენებლო პროექტების შემთხვევაში, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია.

როდესაც ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის პერიოდული შეცვლა ხდება აუცილებელი, ჯგუფი მათ ცვეთას აღრიცხავს ცალ-ცალკე, თითოეულის სასარგებლო მომსახურების ვადის მიხედვით. ანალოგიურად, როდესაც ტარდება ფართომასშტაბიანი ინსპექტირება, მისი ხარჯის აღიარება ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულების ოდენობაში ხდება, როგორც ჩანაცვლების ღირებულებისა, თუ აღიარების კრიტერიუმები დაკმაყოფილებულია. ყველა დანარჩენი რემონტისა და ტექმომსახურების დანახარჯი გაწევისთანავე აისახება კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში.

(ii) დაუმთავრებელი მშენებლობა

დაუმთავრებელი მშენებლობა მოიცავს დანახარჯებს, რომლებიც პირდაპირ უკავშირდება ძირითადი საშუალების მშენებლობას, მათ შორის მშენებლობის დროს გაწეულ შესაბამისად განაწილებულ პირდაპირ მიკუთვნებად ცვლად ხარჯებს და ფიქსირებულ ზედნადებ ხარჯებს. ასეთი აქტივების ცვეთა, მსგავსი ძირითადი საშუალების ანალოგიურად, იწყება აქტივების ექსპლუატაციაში მიღებიდან.

(iii) შემდგომი დანახარჯები

ძირითადი საშუალების ნაწილის შეცვლის თვითღირებულების აღიარება ხდება ამ ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულებაში თუ მოსალოდნელია, რომ ჯგუფი მიიღებს ამ ნაწილის თანმდევ სამომავლო ეკონომიკურ სარგებელს და თუ მისი თვითღირებულების სარწმუნოდ შეფასება შეიძლება. შეცვლილი ნაწილის საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება. ძირითადი საშუალებების ტექნიკური მომსახურების ყოველდღიური დანახარჯების აღიარება ხდება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში მისი დადგომისთანავე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(iv) აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტიდან წარმოშობილი ნებისმიერი შემოსულობა ან ზარალი (დაანგარიშდება, როგორც სხვაობა წმინდა გასვლის ამონაგებსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის) შესულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში, აქტივის აღიარების შეწყვეტისას.

(v) ცვეთა

ცვეთის აღიარება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგანაც ეს ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო მომსახურების ვადა აქვს, მისი ცვეთა განცალკევებით ხორციელდება. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადებია:

მილსადენები	35-50 წელი
შენობა-ნაგებობები	7-25 წელი
მანქანა-დანადგარები და აღჭურვილობა	5-25 წელი
ავტოსატრანსპორტო საშუალებები და ავეჯი	5-10 წელი
კომპიუტერული და საკომუნიკაციო აღჭურვილობა	2-7 წელი
სხვა	2-8 წელი

ძირითადი საშუალებების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო მომსახურების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები ყოველწლიურად გადაისინჯება და, საჭიროების შემთხვევაში, შესაბამისად კორექტირდება.

(ვ) მარაგები

მარაგები ფასდება თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება ეყრდნობა საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდს ან ფაქტობრივ ერთეულის თვითღირებულებას და მოიცავს მარაგების შეძენის ხარჯებს, ასევე წარმოების თვითღირებულებას და სხვა ხარჯებს, რომელთა გაწევაც გახდა საჭირო მარაგების არსებულ მდებარეობამდე და მდგომარეობამდე მისაყვანად.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ზ) არაფინანსური აქტივების გაუფასურების დარიცხვა და გაუქმება

ჯგუფი თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის აფასებს, არსებობს თუ არა აქტივის შესაძლო გაუფასურების ნიშნები. ასეთი ნიშნების არსებობის შემთხვევაში, ან როდესაც აქტივის წლიური ტესტირება საჭირო მისი გაუფასურების დასადგენად, ჯგუფი აფასებს აქტივების ანაზღაურებად ღირებულებას. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება არის აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის გასვლის დანახარჯებით შემცირებულ სამართლიან ღირებულებასა (FVLCS) და აქტივის გამოყენების ღირებულებას (VIU) შორის უდიდესი. აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება განისაზღვრება ცალკეული აქტივისთვის, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც აქტივიდან არ ხდება ფულადი სახსრების შემოდინება, რაც მეტწილად დამოუკიდებელია სხვა აქტივებიდან ან აქტივების ჯგუფიდან მიღებულ ფულად ნაკადებზე. როდესაც აქტივის ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საბალანსო ღირებულება მის ანაზღაურებად ღირებულებას აჭარბებს, აქტივი გაუფასურებულად მიიჩნევა და ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე.

გამოყენების ღირებულების განსაზღვრისას, შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების დღევანდელ ღირებულებამდე დისკონტირება ხდება დაბეგვრამდე დისკონტირების განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ფულის დროითი ღირებულების არსებულ საბაზრო შეფასებებს და აქტივისთვის დამახასიათებელ რისკებს. ჯგუფი აქტივის გამოყენების ღირებულებას გამოითვლის დეტალური ბიუჯეტისა და პროგნოზირებული გაანგარიშების საფუძველზე, რომლებიც ინდივიდუალურად მზადდება ჯგუფის ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის, რომლისთვისაც განაწილებულია ესა თუ ის აქტივი. ეს საბიუჯეტო და საპროგნოზო დაანგარიშებები ჩვეულებრივ ხუთწლიან პერიოდს მოიცავს. გამოითვლება გრძელვადიანი ზრდის ტემპი, რომელიც გამოიყენება ხუთი წლის შემდგომი ფულადი ნაკადების პროგნოზირებისთვის.

გასვლის დანახარჯებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების გამოთვლა ხდება ბოლოდროინდელი საბაზრო გარიგებების გათვალისწინებით. ამგვარი გარიგებების გამოვლენის შეუძლებლობის შემთხვევაში, გამოიყენება შესაბამისი შეფასების მოდელი. აღიარებული გაუფასურების ზარალი პროპორციულად გადანაწილდება ამ ფულადი სახსრების წარმომქმნელ ერთეულში არსებული აქტივების საბალანსო ღირებულების შესამცირებლად. გაუფასურების ზარალი აღიარებულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში.

ყოველი საანგარიშგებო თარიღისთვის ფასდება არსებობს თუ არა იმის ნიშნები, რომ ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალი აღარ არსებობდეს ან შემცირებულია. ასეთი ნიშნის არსებობის შემთხვევაში, ჯგუფი აფასებს აქტივების ან ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის ანაზღაურებად ღირებულებას. ადრე აღიარებული გაუფასურების ზარალის გაუქმება მხოლოდ მაშინ არის შესაძლებელი, თუ გაუფასურები ზარალის ბოლო აღიარების შემდეგ აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების განმსაზღვრელ დაშვებებში გარკვეული ცვლილებებია მომხდარი. გაუქმების შედეგად აქტივის საბალანსო ღირებულებამ არ უნდა გადააჭარბოს მის ანაზღაურებად ღირებულებას და ასევე არ უნდა გადააჭარბოს იმ საბალანსო ღირებულებას, რომელიც განისაზღვრებოდა ცვეთის გამოკლებით, წინა წლებში აქტივის გაუფასურების ზარალი რომ არ ყოფილიყო აღიარებული. ასეთი გაუქმების აღიარება კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში ხდება, თუ აქტივი არ არის აღრიცხული გადაფასებული ღირებულებით, რა შემთხვევაშიც გაუქმება აღირიცხება როგორც აფასება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(თ) ამონაგების აღიარება

ჯგუფი ამონაგებთან დაკავშირებულ თავის შეთანხმებებს სპეციალურ კრიტერიუმებს ადარებს, რათა განსაზღვროს ამ შეთანხმებებში იგი პრინციპალის თუ აგენტ მხარედ გამოდის. ჯგუფმა დაასკვნა, რომ ის მოქმედებს პრინციპალის სახით ამონაგების მომტან გარიგებებში (რადგან ის, ჩვეულებრივ, აკონტროლებს საქონელს და მომსახურებას მათი მომხმარებლისთვის გადაცემამდე).

კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ჯგუფი ზოგადად აღიარებს შემდეგი ტიპის ამონაგებს:

(i) საქონლის რეალიზაცია

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან აღიარდება დროის იმ მომენტში, როდესაც საქონელზე კონტროლი გადაეცემა მომხმარებელს, ზოგადად, როდესაც საქონელი გადაეცემა მომხმარებელს. ჩვეულებრივ საკრედიტო პერიოდი მოიცავს საქონლის გადაცემიდან 30-60 დღეს. ამონაგები აღიარდება ისეთი ოდენობით, რომელიც ასახავს იმ საზღაურს, რომლის მიღებასაც ჯგუფი გეგმავს ამგვარი საქონლის სანაცვლოდ.

(ii) ბუნებრივი გაზის გაყიდვა

ბუნებრივი გაზის გაყიდვიდან მიღებული ამონაგები აღიარდება დროის გარკვეულ მომენტში, აბონენტებისთვის მიწოდებული და მრიცხველით აღრიცხული გაზის ფაქტიური მოცულობების საფუძველზე. ჯგუფი ძირითადად მექანიკურ მრიცხველებს იყენებს, რაც საჭიროებს ჯგუფის თანამშრომლების ადგილზე მისვლას ჩვენების შესამოწმებლად. მრიცხველის ჩვენება მოწმდება სისტემატურად, მინიმუმ თვეში ერთხელ, მაგრამ არა აუცილებლად ყოველი თვის ბოლო დღეს, რის გამოც გარკვეულ პერიოდებში ბუნებრივი გაზი მიწოდებულია, მაგრამ მასზე ქვითარი გამოწერილი არ არის. მრიცხველის ჩვენებების წაკითხვის თარიღსა და სააღრიცხვო პერიოდის ბოლო თარიღს შორის დროითი სხვაობის გამო, საანგარიშგებო ნებისმიერი თარიღისათვის ჯგუფს რეალურად გაყიდული აქვს გარკვეული რაოდენობის გაზი, რომელზეც ჯერ არ არის წარდგენილი ქვითრები მომხმარებლებისთვის. ამონაგების გამოანგარიშება, რომლებზეც ჯერ არ არის წარდგენილი ანგარიშები, დაფუძნებულია ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ თარიღამდე მიწოდებული მოცულობასთან, სხვადასხვა რაოდენობის მომხმარებელთა შორის მის განაწილებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ტექნიკური დანაკარგების შეფასებასთან საანგარიშგებო თარიღისათვის. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ განსხვავება ფაქტობრივ ამონაგებსა და სავარაუდო ამონაგებს შორის, რომლებზეც ქვითრები ჯერ არ არის წარდგენილი, უმნიშვნელოა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(iii) ქსელთან მიერთების საფასური

სემეკის (საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისია) მიერ დადგენილი წესით, ჯგუფი გაზგამანაწილებელ ქსელთან მიერთებულ ახალ აბონენტებს მიერთების გარკვეულ გადასახადს აკისრებს. მიერთების საფასური გამოითვლება ახალი აბონენტების მიერთებაზე ჯგუფის მიერ გაწეული საინვესტიციო დანახარჯების საფუძველზე და რეგულირდება სემეკის მიერ. ხელმძღვანელობა ამ მომსახურებას განიხილავს ცალკე ღირებულების შექმნად მომხმარებლისთვის და ამონაგებს აღიარებს ქსელთან მიერთების მომენტში.

(iv) მომსახურებების გაწევა

ამონაგები მომსახურებებიდან, რომლებიც უკავშირდება მომხმარებლებისთვის ტექნიკური და საინჟინრო ხასიათის მომსახურების გაწევას, ასევე კლიენტებისთვის გაზმომარაგების ქსელის გაყვანასა და ჯგუფის ქსელთან მათ მიერთებას, როგორც წესი, მოკლევადიანი ხასიათის არის და მათი აღიარება ხდება იმ დროს, როდესაც გაიწევა მომსახურებები და შესაძლებელია საზღაურის მიღება.

ამონაგები ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული მომსახურებებიდან. ამონაგები ტრანსპორტირების მომსახურების მომხმარებლებისთვის გადაცემიდან აღიარდება დროის კონკრეტულ მომენტში.

(v) საიჯარო შემოსავალი

საოპერაციო იჯარებიდან წარმოშობილი საიჯარო შემოსავალი აღირიცხება წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში და შესულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში ამონაგების მუხლში, მისი ოპერაციული ხასიათიდან გამომდინარე და ასევე შედის სხვა საოპერაციო ამონაგებში.

(vi) საპროცენტო შემოსავალი

ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ყველა ფინანსური ინსტრუმენტისთვის საპროცენტო შემოსავალი ან ხარჯი აღირიცხება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის (EIR) გამოყენებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც მომავალში მოსალოდნელი ფულადი სახსრების ზუსტ დისკონტირებას ახდენს ფინანსური ინსტრუმენტის ვადაზე ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. საპროცენტო შემოსავალი შესულია კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში ფინანსური შემოსავლის მუხლში.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(vii) სხვა საოპერაციო ამონაგები

სხვა საოპერაციო ამონაგები მეტწილად უკავშირდება საიჯარო შემოსავალს, კარბამიდის გაყიდვას, სავაჭრო ვალდებულების ჩამოწერიდან შემოსავალს და სხვა მცირე ამონაგებს. სხვა საოპერაციო ამონაგები აღიარდება დროის განსაზღვრულ პერიოდში.

(viii) შემოსავალი სახელმწიფო გრანტებიდან

შემოსავალი სახელმწიფო გრანტებიდან განხილულია 3.3(მ) შენიშვნაში ქვემოთ.

(ი) გადასახადები

(i) მოგების გადასახადი

საწარმოების მიერ მიღებული წლიური მოგება, გარდა ბანკებისა, სადაზღვევო კომპანიებისა და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა, 2017 წლიდან არ იბეგრება საქართველოში. მოგების გადასახადით დაიბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, რომელიც დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. დივიდენდების გადახდიდან წარმოქმნილი მოგების გადასახადი აღირიცხება ვალდებულების და ხარჯის სახით, იმ პერიოდში, როდესაც ხდება დივიდენდების გამოცხადება, მიუხედავად გადახდის ფაქტიური თარიღისა ან იმ პერიოდისა, როდესაც მოხდება დივიდენდების გადახდა. გარკვეულ შემთხვევებში დასაშვებია დარიცხული საგადასახადო ვალდებულებებიდან გამოქვითვები, რომლებიც აღირიცხება, როგორც შესაბამის განაწილებასთან დაკავშირებული მოგების გადასახადის ხარჯის შემცირება. საქართველოს საგადასახადო სისტემის თავისებურებიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ საწარმოებს არ წარმოეშვებათ გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები.

ჯგუფის აქციონერებზე დივიდენდის განაწილებასთან დაკავშირებით დაკავებული გადასახადი კონსოლიდირებული საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებაში აღიარებულია საკუთარი კაპიტალიდან გამოქვითვის სახით. საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობა ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად (მაგალითად, არასაბაზრო ფასებით აღრიცხული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები, ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება). ამგვარი გარიგებების დაბეგვრა აღირიცხება საოპერაციო გადასახადების ანალოგიურად და აღირიცხება, კონსოლიდირებულ მოგებაში ან ზარალში, როგორც სხვა საოპერაციო ხარჯებში შემავალი სხვა გადასახადები.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

(ii) დამატებული ღირებულების გადასახადი

ამონაგების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის (დღგ) თანხის გამოკლებით, გარდა იმ შემთხვევებისა:

- ▶ როდესაც აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე;
- ▶ როდესაც მოთხოვნები და ვალდებულებები მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

საგადასახადო ორგანოებისთვის გადასახადელი ან მათგან დასაბრუნებელი დამატებული ღირებულების გადასახადის წმინდა ოდენობა ასახულია საგადასახადო აქტივის ან ვალდებულების ნაწილში, რომლებიც წმინდა საფუძველზე აღირიცხება კონსოლიდირებულ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში.

(iii) საგადასახადო აქტივების და ვალდებულებების ნეტო საფუძველზე წარმოდგენა

2016 წლიდან საქართველოს კანონმდებლობაში შევიდა ცვლილებები გადასახადის გადახდის წესებთან დაკავშირებით. ახალი წესების მიხედვით, საქართველოს შემოსავლების სამსახური გააკონტროლებს გადასახადის გადამხდელის ნეტო (წმინდა) დავალიანებას სახელმწიფოს მიმართ გადასახადის გადამხდელის კონსოლიდირებული ანგარიშის დანერგვით. ამიტომ ჯგუფი თითოეული საწარმოს საგადასახადო ვალდებულებებსა და მოთხოვნებთან დაკავშირებულ აქტივებს და ვალდებულებებს ნეტო საფუძველზე წარმოადგენს.

(ვ) ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში და სალაროში, რასაც აკლდება საბანკო ოვერდრაფტები, რადგან ისინი ითვლება ჯგუფის ფულადი სახსრების მართვის განუყოფელ ნაწილად.

(ლ) იჯარა

ხელშეკრულების გაფორმებისას ჯგუფი აფასებს ხელშეკრულება წარმოადგენს ან მოიცავს თუ არა იჯარას. ეს იმას ნიშნავს, გადასცემს თუ არა ხელშეკრულება იდენტიფიცირებული აქტივების სარგებლობის კონტროლის უფლებას დროის კონკრეტულ მომენტში, საზღაურის სანაცვლოდ.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ჯგუფი იყენებს ერთი აღიარების და შეფასების მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. ჯგუფი აღიარებს იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რომ განახორციელოს საიჯარო გადახდები და აანაზღაუროს აქტივების გამოყენების უფლება, რომლებიც წარმოადგენს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლებას.

(i) აქტივების გამოყენების უფლება

აქტივების გამოყენების უფლებას ცვეთა ერიცხება წრფივი მეთოდის გამოყენებით, საიჯარო ვადასა და ძირითადი საშუალებების და მანქანა-დანადგარების სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადას შორის უმოკლესის განმავლობაში 2-დან 6 წლამდე. თუ საიჯარო აქტივის ფლობა გადაეცემა ჯგუფს იჯარის ვადის ბოლოს ან თვითღირებულება ასახავს შესყიდვის უფლებით სარგებლობას, ცვეთა დაანგარიშდება აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადის გამოყენებით. აქტივების გამოყენების უფლება ასევე გაუფასურების საგანია. სააღრიცხვო პოლიტიკა იხილეთ ნაწილში *არაფინანსური აქტივების დარიცხვა და გაუფასურების გაუქმება*.

(ii) საიჯარო ვალდებულებები

საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების დაანგარიშებისას, ჯგუფი იყენებს ზღვრულ სასესხო განაკვეთს იჯარის ვადის დაწყების თარიღში, რადგან იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი მარტივად ვერ განისაზღვრება. საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება ხელახლა ფასდება, თუ ადგილი აქვს იჯარის ვადის მოდიფიცირებას ან შესწორებას, საიჯარო გადახდების ცვლილებას (მაგ. ცვლილება მომავალ გადახდებში, რაც გამოწვეულია ამგვარი საიჯარო გადახდების განსაზღვრაში გამოყენებული ინდექსის ან განაკვეთის ცვლილებით) ან საიჯარო აქტივის შემენის ოფციის შეფასების ცვლილებას.

(iii) მოკლევადიანი იჯარა და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა

ჯგუფი იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისგან განთავისუფლებას მოკლევადიან იჯარებზე (ე.ი. იჯარებზე, რომლებსაც აქვთ იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან 12- ან ნაკლებთვიანი ვადა და არ მოიცავენ შესყიდვის ოფციონს). ის ასევე ეხება დაბალი ღირებულების მქონე საოფისე აღჭურვილობის იჯარის აღიარებისგან განთავისუფლებას, დაბალფასიან იჯარებზე. საიჯარო გადახდები მოკლევადიან იჯარაზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღიარდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე წრფივი მეთოდის გამოყენებით.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

3. არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკა (გაგრძელება)

3.3 არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა (გაგრძელება)

ჯგუფი, როგორც მეიჯარე

იჯარა, რომელშიც ჯგუფი არ გადასცემს აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებულ არსებითად ყველა რისკს და სარგებელს, საოპერაციო იჯარად კლასიფიცირდება. მიღებული საიჯარო შემოსავალი აღირიცხება წრფივი მეთოდით იჯარის ვადაზე და, თავისი საოპერაციო ხასიათის გამო, მოგება-ზარალის ანგარიშგებაში აისახება ამონაგების მუხლში. საოპერაციო იჯარის პირობებზე მოლაპარაკებისას გაწეული თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯები საიჯარო აქტივების საბალანსო ღირებულებას ემატება და მათი აღიარება ხდება იჯარის ვადაზე იმავე წესით, როგორითაც საიჯარო შემოსავალი. პირობითი საიჯარო ქირის აღიარება ხდება ამონაგების სახით იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მისი მიღება.

(მ) სახელმწიფო გრანტები

სახელმწიფო გრანტების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც არსებობს სათანადო რწმუნება, რომ ასეთი გრანტი მიიღება და მასთან დაკავშირებული ყველა პირობა დაკმაყოფილდება. როდესაც ჯგუფი იღებს არაფულადი აქტივების გრანტებს, აქტივი და გრანტი აღირიცხება მიღებული აქტივების სამართლიანი ღირებულებით და აისახება მოგებაში ან ზარალში აქტივის მოსალოდნელი სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში თანაბარი წლიური გადახდებით, საიჯარო აქტივიდან სარგებლის მიღების ტენდენციის მიხედვით. ჯგუფი მინიჭებული აქტივებისთვის ვალდებულების სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობას სახელმწიფო გრანტის სახით აღრიცხავს. გრანტის სახით მიღებული აქტივების ვალდებულების სამართლიანი ღირებულება დაანგარიშდება, როგორც აღიარებისას ბაზრის განაკვეთით დისკონტირებული სახელმწიფო ფულადი ნაკადების გასვლა და აღირიცხება, როგორც გრძელვადიანი ვალდებულება ძირითადი საშუალებების შესყიდვიდან.

4. ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები

ჯგუფმა პირველად გამოიყენა კონკრეტული სტანდარტები და ცვლილებები, რომლებიც ძალაშია 2024 წლის 1 იანვარს და ამ თარიღის შემდეგ დაწყებული ყოველწლიური პერიოდებისთვის. ჯგუფს ვადაზე ადრე არ მიუღია რომელიმე სხვა სტანდარტი, ინტერპრეტაცია ან ცვლილება, რომელიც გამოშვებულია, მაგრამ ძალაში არ არის შესული.

შემდეგი ცვლილებები და ინტერპრეტაციები პირველად იქნა გამოყენებული 2024 წელს:

- ▶ ფასს (IFRS) 16-ის ცვლილებები: საიჯარო ვალდებულება გაყიდვებსა და უკუიჯარაში;
- ▶ ბასს (IAS) 1-ის ცვლილებები: ვალდებულებების მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიცირება;
- ▶ მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები - ბასს (IAS) 7-ის და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილებები;

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

4. ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ახალი და შეცვლილი სტანდარტები და ინტერპრეტაციები (გაგრძელება)

ბასს (IAS) 1-ის ცვლილებებით განსაზღვრულია ვალდებულებების მოკლე და გრძელვადიანად კლასიფიკაციის მოთხოვნები. ცვლილებებით განისაზღვრება:

- ▶ რას ნიშნავს ანგარიშსწორების გადავადების უფლება;
- ▶ რომ გადავადების უფლება უნდა არსებობდეს საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში;
- ▶ რომ კლასიფიკაციაზე არ მოქმედებს იმის ალბათობა, რომ საწარმო ისარგებლებს გადავადების უფლებით;
- ▶ რომ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ კონვერტირებად ვალდებულებაში განივთებული წარმოებული ინსტრუმენტი თავად არის წილობრივი ინსტრუმენტი, ვალდებულების პირობები არ იმოქმედებს კლასიფიკაციაზე.

ამასთან, საწარმო ვალდებულია გაამჟღავნოს ინფორმაცია სესხის ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ვალდებულების გრძელვადიანად კლასიფიცირების და საწარმოს მიერ ანგარიშსწორების გადავადების უფლების შესახებ, რომელიც დამოკიდებულია მომავალი ვალდებულებების დაცვაზე თორმეტი თვის განმავლობაში.

ამ ცვლილებებმა გამოიწვია მე-17 შენიშვნაში დამატებითი განმარტებითი შენიშვნების გაკეთება, თუმცა მათ გავლენა არ ჰქონიათ ჯგუფის ვალდებულებების კლასიფიკაციაზე.

მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები - ბასს (IAS) 7-ის და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილებები

ბასს (IAS) 7-ის („ფულადი ნაკადების ანგარიშგება“) და ფასს (IFRS) 7-ის („ფინანსური ინსტრუმენტები“) ცვლილებები: მომწოდებლის ფინანსური გარიგებების მახასიათებლების განმარტებითი შენიშვნები და ამგვარი გარიგებების დამატებითი განმარტებების მოთხოვნა. ცვლილებები განმარტებითი შენიშვნების მოთხოვნის მიზანია ფინანსური ანგარიშგებების მომხმარებლებს დაეხმაროს საწარმოს ვალდებულებებზე, ფულად ნაკადებზე ან ლიკვიდობის რისკის ზომაზე მიმწოდებლის ფინანსური შეთანხმებების ეფექტების გააზრებაში.

ამ ცვლილებების განხორციელების შედეგად, ჯგუფმა დამატებითი განმარტებები გასცა თავისი მიმწოდებლის ფინანსური გარიგებების შესახებ (მე-19 შენიშვნა).

სხვა ცვლილებები და ინტერპრეტაციები პირველად იქნა გამოყენებული 2024 წელს, თუმცა მათ არ ჰქონია გავლენა ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

4. ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული

ქვემოთ განსაზღვრულია ახალი და გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში არ არის შესული ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის. ჯგუფი ამ ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას გეგმავს მათი ძალაში შესვლისთანავე.

- ▶ ბასს (IAS) 21-ის ცვლილებები: „ურთიერთგაცვლის შესაძლებლობის არარსებობა“ - (ძალაშია 2025 წლის 1 იანვარს ან ამ თარიღით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდისთვის);

მოსალოდნელი არ არის რომ ამ ცვლილებებს არსებითი გავლენა ექნებათ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ▶ ფასს (IFRS) 18: „ფინანსური ანგარიშგების წარდგენა და განმარტებითი შენიშვნები“ - (ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან);

2024 წლის აპრილის თვეში ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭომ გამოსცა ფასს (IFRS) 18, რომელიც ჩაანაცვლებს ბასს (IAS) 1-ს („ფინანსური ანგარიშგების წარდგენა“). ფასს (IFRS) 18 ადგენს მოგება-ზარალის ანგარიშგების ფარგლებში ინფორმაციის წარდგენის, მათ შორის ჯამების და ქვეჯამების მითითების ახალ მოთხოვნებს. გარდა ამისა, საწარმოები ვალდებული არიან მოგება-ზარალის ანგარიშგებაში განახორციელონ ყველა შემოსავლის და ხარჯის კლასიფიცირება ხუთი კატეგორიიდან ერთ-ერთით: საოპერაციო, საინვესტიციო, საფინანსო, მოგების გადასახადი და შეწყვეტილი ოპერაციები, საიდანაც პირველი სამი ახალი კატეგორიაა.

ის ასევე მოითხოვს ახლად განსაზღვრული ხელმძღვანელობის მიერ არჩეული შესრულების მაჩვენებლების საზომების - შემოსავლისა და ხარჯების ქვეჯამების გამჟღავნებას, ასევე ახალ მოთხოვნებს ფინანსური ინფორმაციის აგრეგირების და დეზაგრეგირების შესახებ, საწყის ფინანსურ ანგარიშგებებსა და განმარტებით შენიშვნებში გამოვლენილი „როლების“ საფუძველზე.

ამასთან, მცირემასშტაბიანი ცვლილებები განხორციელდა ბასს (IAS) 7-ში („ფულადი ნაკადების ანგარიშგება“), რაც მოიცავს ოპერაციებიდან ფულადი ნაკადების განსაზღვრის საწყისი წერტილის ცვლილებას არაპირდაპირი მეთოდის ფარგლებში, „მოგება-ზარალიდან“ „საოპერაციო მოგება-ზარალზე“; ასევე ფულადი ნაკადების ანაზღაურებიდან და პროცენტიდან კლასიფიკაციასთან დაკავშირებული შერჩევითობის გაუქმებას. ამასთან, განხორციელდა რამდენიმე სხვა სტანდარტის შედეგობრივი ცვლილებებიც.

ფასს (IFRS) 18 და სხვა სტანდარტების ცვლილებები ძალაშია 2027 წლის 1 იანვრიდან ან ამ თარიღით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. დასაშვებია ვადაზე ადრე მიღება, რაც აუცილებლად უნდა იყოს გაცხადებული. ფასს (IFRS) 18-ის გამოყენება რეტროსპექტულად მოხდება.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

4. ცვლილება სააღრიცხვო პოლიტიკაში და განმარტებით შენიშვნებში (გაგრძელება)

ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული (გაგრძელება)

დღეისათვის ჯგუფი მუშაობს ცვლილებების ყველა გავლენის გამოვლენაზე, რომლებსაც შესაძლოა გავლენა ჰქონდეთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებებზე ან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებზე.

- ▶ ფასს (IFRS) 19: შვილობილი საწარმოები საჯარო ანგარიშვალდებულების გარეშე - (ძალაშია 2027 წლის 1 იანვრით დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის)

მოსალოდნელი არ არის რომ ამ ცვლილებებს არსებითი გავლენა ექნებათ ჯგუფის კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა, შეფასებები და დაშვებები

ჯგუფის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადება ხელმძღვანელობის მხრიდან მოითხოვს გარკვეულ გადაწყვეტილებებს, შეფასებებსა და დაშვებებს, რაც გავლენას ახდენს ანგარიშგებაში წარმოდგენილი ამონაგების, ხარჯების, აქტივებისა და ვალდებულებების ოდენობაზე, თანდართულ განმარტებით შენიშვნებსა და პირობითი ვალდებულებების გაცხადებაზე. ამ დაშვებებისა და შეფასებების სუბიექტური ხასიათის გამო შეიძლება მნიშვნელოვანი კორექტირებების შეტანა გახდეს საჭირო მომავალი პერიოდების აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში.

განსჯა

ჯგუფის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში, ხელმძღვანელობამ შემდეგი სახის განსჯა გამოიყენა, რომელსაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანი გავლენა აქვს კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებზე:

(i) დროში სხვაობა

ბუნებრივი გაზის გაყიდვის აღიარება ხდება აბონენტების მიერ მრიცხველის მიხედვით გაზის მოხმარების საფუძველზე. მრიცხველის ჩვენებების წაკითხვის თარიღსა და სააღრიცხვო პერიოდის ბოლო თარიღს შორის დროითი სხვაობის გამო, ნებისმიერი საანგარიშგებო თარიღისათვის ჯგუფს რეალურად გაყიდული აქვს გარკვეული რაოდენობის ბუნებრივი გაზი, რომელზეც არ არის წარდგენილი ქვითრები მომხმარებლებისთვის. ამონაგების გამოანგარიშება, რომლებზეც ჯერ არ არის წარდგენილი ანგარიშები, დაფუძნებულია ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრულ თარიღამდე მიწოდებული მოცულობასთან, სხვადასხვა რაოდენობის მომხმარებელთა შორის მის განაწილებასა და მიწოდებასთან დაკავშირებული ტექნიკური დანაკარგების შეფასებასთან საანგარიშგებო თარიღისათვის. ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ განსხვავება ფაქტობრივ ამონაგებსა და სავარაუდო ამონაგებს შორის, რომლებზეც ქვითრები ჯერ არ არის წარდგენილი, უმნიშვნელოა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა, შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

განსჯა (გაგრძელება)

ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ გაზის ახალი მომხმარებლის ქსელთან მიერთების შედეგად წარმოქმნილი ამონაგები არის ცალკე მომსახურებიდან მიღებული შემოსავალი და მას აღიარებს გაზგამანაწილებელ ქსელთან მომხმარებლის მიერთებისას.

(ii) იჯარები – განახლებადი იჯარების ხელშეკრულებების იჯარის ვადის განსაზღვრა

ჯგუფი იჯარის ვადას განსაზღვრავს, როგორც იჯარის შეუქცევად ვადას, ნებისმიერ პერიოდთან ერთად, რომლის დროსაც ხდება იჯარის გახანგრძლივება, თუ ამ უფლებით სარგებლობა გონივრულ ფარგლებში შესაძლებელია, ან ნებისმიერ პერიოდთან ერთად, რომლის დროსაც შესაძლებელია იჯარის შეწყვეტა, თუ ამ უფლებით სარგებლობა გონივრულ ფარგლებშია შესაძლებელი. ჯგუფის ყველა საიჯარო ხელშეკრულებები, რომლებიც ძალაში იყო საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში მოიცავს ავტომატურად განახლების პირობას, რა საფუძველზეც გარიგება გაგრძელდება მანამდე, სანამ ერთერთი მხარე არ შეწყვეტს იჯარას, საწყისი პერიოდიდან 1 წლის განმავლობაში. ავტომატურად განახლების შესაძლებლობის მქონე საიჯარო ხელშეკრულებებისთვის, იჯარის დაწყების თარიღისთვის ჯგუფი განსაზღვრავს განახლების პირობით პერიოდს 6 წლის ვადით, თუ ამ უფლებით სარგებლობა გონივრულ ფარგლებშია შესაძლებელი. იხილეთ მე-11 შენიშვნა.

შეფასებები და დაშვებები

მომავალთან დაკავშირებით გაკეთებული ძირითადი დაშვებები და შეფასებები და ასევე სხვა განუსაზღვრელობები საანგარიშგებო თარიღისათვის, რომელთა გამოც მომავალ ფინანსურ წელს შეიძლება საჭირო გახდეს მნიშვნელოვანი ცვლილების შეტანა აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულებაში, აღწერილია ქვემოთ. ჯგუფმა თავისი დაშვებებისა და შეფასებების საფუძველად გამოიყენა ის ინფორმაცია, რომელიც ხელმისაწვდომი იყო კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების დროს. თუმცა არსებული გარემოებები და მომავალ მოვლენებთან დაკავშირებული დაშვებები შეიძლება შეიცვალოს ბაზარზე ან გარემოებებში ისეთი ცვლილებების გამო, რომლებიც არ ექვემდებარება ჯგუფის კონტროლს. ასეთი ცვლილებები აისახება მათი დადგომისთანავე.

(i) ძირითადი საშუალებების გაუფასურება

ხელმძღვანელობა თვლის, რომ ჯგუფი ფლობს ფულადი სახსრების წარმომქმნელ ორ ერთეულს ნავთობპროდუქტებზე და ბუნებრივ გაზზე. ყოველ საანგარიშგებო თარიღში ჯგუფის ხელმძღვანელობა აფასებს გაუფასურების ინდიკატორებს.

2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით გაუფასურების ინდიკატორების ანალიზის შემდეგ ხელმძღვანელობამ დაასკვნა, რომ ინდიკატორები არსებობდა ნავთობპროდუქტების ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულისთვის და ჯგუფმა დამოუკიდებელი გარე შემფასებელი დაიქირავა, ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის აქტივების ანაზღაურებადი ღირებულების დაანგარიშების განსახორციელებლად. შეფასება 2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ჩატარდა.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა, შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

ჩატარებული სამუშაოს შედეგად განისაზღვრა, რომ გაყიდვის ღირებულებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება (FVLCS) ფულადი სახსრების წარმომქმნელი ერთეულის საუკეთესო და უმაღლესი გამოყენებაა და ის უმაღლეს ანაზღაურებად ღირებულებას იძლეოდა.

ძირითადი საშუალებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრა საბაზრო და დანახარჯების მიდგომების გამოყენებით. საბაზრო მიდგომა მეტწილად გამოიყენებოდა მიწის ნაკვეთების და საკომუნიკაციო და კომპიუტერული აღჭურვილობის სამართლიანი ღირებულების განსაზღვრად. შემფასებელმა ჩაატარა შესადარის პირობებში არსებული მსგავსი აქტივების საბაზრო ფასების ანალიზი და ზუსტი ანალოგების არარსებობისას გამოიყენა კორექტირებები. დანახარჯების მიდგომის ფარგლებში, შემფასებელმა განსაზღვრა რეპროდუქციის ან ჩანაცვლების ღირებულება, პირდაპირი და ინდექსირების მეთოდების გამოყენებით. პირდაპირი მეთოდის ფარგლებში, შემფასებელმა დაიანგარიშა ჩანაცვლების ღირებულება ახალი მუხლებისთვის და გამოიყენა ფიზიკური, ფუნქციური და ეკონომიკური ცვეთა.

აქტივებისთვის, რომლებისთვისაც ვერ მოიძებნა მეორადი ბაზრის შეთავაზებები, გამოიყენებოდა ინდექსირების მეთოდი ინდექსირების მეთოდის ფარგლებში, შემფასებელმა გამოიყენა თავდაპირველი საბაზრო ღირებულების კორექტირება, ზოგად ინდექსებში განხორციელებული ცვლილებების საფუძველზე.

2024 წლის 30 ივნისის მდგომარეობით ჩატარებული შეფასების საფუძველზე, გაუფასურება არ გამოვლენილა. 2024 წლის 30 ივნისიდან 2024 წლის 31 დეკემბრამდე პერიოდში, ადგილი არ ჰქონია მნიშვნელოვან მაპროვოცირებელ შემთხვევებს, რომლებიც მოდელების შედეგების ცვლილებაზე იმოქმედებდნენ. აქტივების გაყიდვის ღირებულებით შემცირებული სამართლიანი ღირებულება ყველაზე მეტად მგრძნობიარეა ლიკვიდობის პერიოდის 5 წლიდან 3 წლამდე შემცირების მიმართ აქტივებისთვის, რომლებსაც აქვთ სტრატეგიული ადგილმდებარეობა ან რომლებიც მეტად ლიკვიდურად არიან მიჩნეული. ეს გამოიწვევს გაყიდვის ღირებულებით შემცირებული სამართლიანი ღირებულების 10%-ით ზრდას 26,883 ლარის ოდენობით.

(ii) სავაჭრო და სხვა მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ანარიცხი

ჯგუფი აღიარებს რეზერვებს წმინდა სავაჭრო მოთხოვნების და სხვა აქტივებში შესული სხვა მოთხოვნების მოსალოდნელ საკრედიტო ზარალზე და იყენებს სტანდარტის გამარტივებულ მიდგომას.

ხელმძღვანელობამ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი დაიანგარიშა ამ ფინანსური ინსტრუმენტების ვადის გათვალისწინებით. ჯგუფმა გამოიყენა მისი საკრედიტო ზარალის გამოცდილების გათვალისწინებით მომზადებული ანარიცხის მოდელი, რომელიც მოვალეების პერსპექტიულ ფაქტორებს და ეკონომიკურ გარემოს მოერგო.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

5. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა, შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

შეფასებები და დაშვებები (გაგრძელება)

საკრედიტო დაწესებულებებში არსებული სახსრებისთვის (ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში) ჯგუფმა განსაზღვრა, რომ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითი იყო.

ამგვარად, 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სავარუდო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 16,612 ლარის (2023 წ.: 17,763 ლარი) ოდენობით ფინანსური აქტივების გაუფასურებით გამოწვეული შესაძლო ზარალის საუკეთესო შეფასებაა (მე-8 და მე-13 შენიშვნები).

(iii) საინვესტიციო ქონების გადაფასება

ჯგუფი საინვესტიციო ქონებას სამართლიანი ღირებულებით აღრიცხავს, კონსოლიდირებული სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარებული სამართლიანი ღირებულების ცვლილებით და შემოსულობით. ჯგუფმა დაიქირავა გარე სპეციალისტი 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად (მე-10 შენიშვნა). სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება დამოუკიდებელი შემფასებლების ანგარიშების მიხედვით, რომელსაც აქვთ აღიარებული და შესაბამისი პროფესიული კვალიფიკაცია და ანალოგიური ადგილმდებარეობისა და კატეგორიის ქონების შეფასების გამოცდილება. შეფასების მეთოდების სახით გამოყენებულია ბაზრის შედარების და ფასის ჩანაცვლების მიდგომა.

6. ამონაგები

	2024	2023
ბუნებრივი გაზი - საბითუმო რეალიზაცია	1,013,603	1,096,985
ნავთობპროდუქტები	508,731	486,514
ბუნებრივი გაზი - საცალო რეალიზაცია	359,071	315,410
ბუნებრივი გაზი - გაზგასამართი სადგურები	59,788	62,768
მაღაზიები ბენზინგასამართ სადგურებზე (ა)	41,457	38,856
გაზიფიკაციის, დამონტაჟების და სარემონტო მომსახურება (ბ)	17,880	21,800
ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირება (გ)	513	699
სულ ამონაგები მომხმარებლებთან გაფორმებული ხელშეკრულებებიდან	2,001,043	2,023,032
სხვა საოპერაციო ამონაგები (დ)	36,986	28,937
სულ ამონაგები	2,038,029	2,051,969

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

6. ამონაგები (გაგრძელება)

- (ა) გაზ და ნავთობპროდუქტების გაყიდვის გარდა, ჯგუფი ასევე ფლობს მაღაზიების ქსელს, რომლებიც ჯგუფის ბენზინგასამართ სადგურებზეა განთავსებული. ამ პროდუქტების შესაბამისი თვითღირებულება წარმოდგენილია სხვა გაყიდული საქონლის თვითღირებულების სახით კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში.
- (ბ) ჯგუფი ფიზიკურ და იურიდიულ პირებს უწევს გაზიფიკაციის, სამონტაჟო და სარემონტო მომსახურებას. ამ მომსახურებიდან მიღებული ამონაგების აღიარება ხდება დროის გარკვეულ მომენტში, შესაბამისი სამუშაოების დასრულებისთანავე.
- (გ) ჯგუფი გასწევს ნავთობპროდუქტების ტრანსპორტირების მომსახურებას საბითუმო მომხმარებლებისთვის.
- (დ) სხვა საოპერაციო ამონაგები მეტწილად შესდგება სახელმწიფო გრანტებიდან შემოსავლისგან, საოპერაციო იჯარისგან (ჯგუფი, როგორც მეიჯარე) და მომხმარებლებზე დაკისრებული ჯარიმებისგან.

ჯგუფმა აღიარა ამონაგებთან დაკავშირებული შემდეგი სავაჭრო მოთხოვნები და სახელშეკრულებო ვალდებულებები:

	<i>2024</i>	<i>2023</i>
სავაჭრო მოთხოვნები	312,957	231,490
სახელშეკრულებო ვალდებულებები	6,651	5,117

სავაჭრო მოთხოვნების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც საზღაურის მიღების უფლება უპირობო ხდება. სავაჭრო მოთხოვნები მეტწილად ლარშია გამოხატული. სავაჭრო მოთხოვნები უპროცენტოა.

სავაჭრო მოთხოვნების ზრდა მეტწილად უკავშირდება 2024 წლის დეკემბრის თვეში ყველაზე დიდ არადაკავშირებულ მხარე შემსრულებელზე გაყიდვების მაღალ დონეს, 2023 წლის დეკემბერთან შედარებით. ამასთან, 2024 წლის დეკემბერში გაიზარდა ბუნებრივი გაზის გაყიდვები კომუნალურ მომხმარებლებზე, 2023 წლის დეკემბერთან შედარებით, მიმდინარე წლის განმავლობაში გაუარესებული ამინდის პირობების გამო.

სახელშეკრულებო ვალდებულებები, რომლებიც მოიცავს მომხმარებლებისგან მიღებულ საზღაურებს, წარმოადგენს ჯგუფის ვალდებულებას საქონელი და მომსახურება გადასცეს ამ მომხმარებლებს. საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისში სახელშეკრულებო ვალდებულებებში შესული 5,117 ლარი (2023 წ.: 5,142 ლარი) აღიარებული იყო 2024 წლის ამონაგების სახით.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

7. სხვა საოპერაციო ხარჯები

	2024	2023
გაზიფიკაციის, რემონტისა და ტექმომსახურების დანახარჯები	23,819	19,265
გადასახადები, მოგების გადასახადის გარდა	12,130	11,767
საქველმოქმედო და სპონსორობის ხარჯები (ა)	10,956	538
კომუნალური მომსახურება და კავშირგაბმულობა	8,826	10,153
ბანკის საკომისიოები	4,861	3,791
პროგრამული უზრუნველყოფის დანახარჯები	4,143	3,251
ბუნებრივი გაზის სისტემის რეგულირების მოსაკრებელი	3,798	3,981
ობიექტების იჯარა	3,591	4,474
სათადარიგო ნაწილების და სხვა მარაგების ჩამოწერა (ბ)	3,306	2,074
გაზ და ბენზინგასამართი სადგურის მომსახურების საფასური	2,845	2,042
პროფესიული მომსახურება	2,708	8,545
სხვა ჯარიმები და საურავები	2,225	8,993
მომწოდებლებისთვის გადახდილი ავანსების ჩამოწერა (გ)	1,600	–
სამგზავრო და წარმომადგენლობითი ხარჯები	1,590	2,927
ნავთობპროდუქტებზე ინსპექტირების და ხარისხის კონტროლის დანახარჯები	1,199	1,127
დაზღვევა	1,122	989
საყოფაცხოვრებო ხარჯები	432	408
საწვავი	245	264
სხვა	8,537	7,178
სულ სხვა საოპერაციო ხარჯები	97,933	91,767

- (ა) 2024 წელს ქველმოქმედება და სპონსორობა მეტწილად მოიცავდა საქართველოში სოკარის წარმომადგენლობისთვის თეატრის მშენებლობისთვის გადაცემულ სახსრებს.
- (ბ) 2024 წელს ჯგუფმა განახორციელა კონკრეტული მარაგების მუხლების იდენტიფიცირება, რომლებიც ჩაითვალა მოძველებულად ან გაყიდვად. შედეგად ჯგუფმა მთლიანად ჩამოწერა 3,161 ლარი ამ მარაგების მუხლებთან დაკავშირებით.
- (გ) 2024 წელს, ჯგუფმა განახორციელა მომწოდებლებისთვის გადახდილი კონკრეტული ავანსების იდენტიფიცირება, რომლებიც ამოუღებლად იქნა მიჩნეული. შედეგად ჯგუფმა მთლიანად ჩამოწერა 1,600 ლარი ამ ავანსებთან დაკავშირებით.

8. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის შექმნილი ანარიცხები, წმინდა

	სავაჭრო მოთხოვნები	სხვა აქტივები	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	22,314	2,527	24,841
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის შექმნილი ანარიცხები, წმინდა	387	676	1,063
ანარიცხების ჩამოწერა	(6,084)	(2,057)	(8,141)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბერს	16,617	1,146	17,763
(გაუქმებული)/შექმნილი ანარიცხები			
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალისთვის, წმინდა	(254)	676	422
ანარიცხების ჩამოწერა	(221)	(1,352)	(1,573)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბერს	16,142	470	16,612

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მიწა	მიღსადენები	შენიშნული ნაგებობები	მანქანა- დანადგარები და ალჭურვილობა	ავტოსატრანსპორტო საშუალებები და ავეჯი	ავტოსატრანსპორტო კომპიუტერული და საკომუნიკაციო ალჭურვილობა	სხვა	დაუმთავრე- ბელი მშენებლობა	სულ
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის									
მდგომარეობით	49,873	917,427	160,794	35,305	22,978	5,682	8,817	5,233	1,206,109
შესყიდვები	–	–	–	66	4,908	1,787	848	149,077	156,686
გასვლები	(343)	(802)	(452)	(1,474)	(4,326)	(637)	(343)	(4,147)	(12,524)
გადატანები დაუმთავრებელი მშენებლობიდან	16	135,739	1,656	3,038	–	–	–	(140,449)	–
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის	49,546	1,052,364	161,998	36,935	23,560	6,832	9,322	9,714	1,350,271
შესყიდვები	2,947	4,509	–	766	2,975	734	915	90,921	103,767
გასვლები	(227)	(8,347)	(867)	(1,668)	(879)	(95)	(24)	(4,068)	(16,175)
გადატანები დაუმთავრებელი მშენებლობიდან	–	58,936	3,213	5,093	–	–	–	(67,242)	–
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის	52,266	1,107,462	164,344	41,126	25,656	7,471	10,213	29,325	1,437,863
ცვეთა და გაუფასურება									
ნაშთი 2023 წლის 1 იანვრის									
მდგომარეობით	8,833	201,628	24,818	14,612	9,912	3,888	6,519	–	270,210
ცვეთა წლის განმავლობაში	–	22,167	14,993	5,465	3,572	1,869	1,612	–	49,678
გასვლა	–	(454)	(230)	(955)	(2,451)	(485)	(235)	–	(4,810)
ნაშთი 2023 წლის 31 დეკემბრის	8,833	223,341	39,581	19,122	11,033	5,272	7,896	–	315,078
ცვეთა წლის განმავლობაში	–	26,680	13,511	4,950	3,364	1,450	1,314	–	51,269
გასვლა	–	(4,036)	(130)	(300)	(387)	(77)	(16)	–	(4,946)
ნაშთი 2024 წლის 31 დეკემბრის	8,833	245,985	52,962	23,772	14,010	6,645	9,194	–	361,401
წმინდა სააღრიცხვო ღირებულება									
2023 წლის 31 დეკემბრის	40,713	829,023	122,417	17,813	12,527	1,560	1,426	9,714	1,035,193
2024 წლის 31 დეკემბრის	43,433	861,477	111,382	17,354	11,646	826	1,019	29,325	1,076,462

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

9. ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ საკუთრებაში არსებული მილსადენები და შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლუმის“ მიერ ფლობილი ძირითადი საშუალებები დაგირავებული იყო ქართული ბანკებისგან მიღებული სესხების უზრუნველყოფის სახით (მე-17 შენიშვნა).

2024 წლის განმავლობაში შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლუმმა“ გაყიდა ნავთობის ბაზა 2,096 ლარად, რამაც გამოიწვია ძირითადი საშუალებების გასვლიდან მიღებული შემოსულობის აღიარება 1,887 ლარის ოდენობით.

10. საინვესტიციო ქონება

	2024	2023
საწყისი ნაშთი 1 იანვარს	18,251	15,771
წმინდა შემოსულობა სამართლიანი ღირებულების ხელახალი შეფასებიდან	1,621	2,480
საბოლოო ნაშთი 31 დეკემბერს	19,872	18,251

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საინვესტიციო ქონება მიწისა და შენობა-ნაგებობებისგან შედგებოდა, რომლებიც მსესხებლებისგან იყო მიღებული და ჯგუფი არ გეგმავს ამ ქონების გამოყენებას ბიზნეს-საქმიანობების მიზნით. საინვესტიციო ქონება სამართლიანი ღირებულებით ფასდება. სამართლიანი ღირებულება არის თანხა, რომელიც მიიღება აქტივის გაყიდვის შედეგად ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობითი ოპერაციის პირობებში შეფასების თარიღისთვის. 2024 წელს შეფასება დამოუკიდებელმა შემფასებელმა ჩაატარა. შეფასების შედეგად მიღებული შემოსულობა 1,621 ლარის (2023 წ.: 2,480 ლარი) ოდენობით აღიარებული იყო საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულების შეფასებით. შეფასებისთვის გამოყენებულია მე-3 დონის ამოსავალი მონაცემები, რომლებიც ფასს (IFRS) 13-ის პრინციპებს შეესაბამება.

მთლიანობაში დამოუკიდებელმა სპეციალისტმა 31 პოზიცია შეაფასა, საიდანაც 20 პოზიცია (4,337 ლარი) შეფასებულია საბაზრო შედარების და ფასის ჩანაცვლების მიდგომის საშუალო შეწონილი მეთოდის გამოყენებით. 10 პოზიციისთვის (14,778 ლარი) დამოუკიდებელმა სპეციალისტმა ბაზრის შედარების მიდგომა გამოიყენა. დარჩენილ 1 პოზიციაზე (757 ლარი) გამოყენებულია ფასის ჩანაცვლების მეთოდი.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

11. იჯარები

ჯგუფი, როგორც მოიჯარე

ჯგუფი ფლობს საიჯარო ხელშეკრულებებს საოფისე შენობებზე და ნავთობისა და გაზის ქონებებზე, 2-დან 6 წლამდე საიჯარო ვადით. მოკლევადიან და დაბალფასიან იჯარებად კლასიფიცირებული იჯარებისთვის, ჯგუფი გათავისუფლების წესს იყენებს. ქვემოთ განსაზღვრულია აღიარებული აქტივების გამოყენების უფლების საბალანსო ღირებულება:

	მანქანა- დანადგარები			
	შენობა- ნაგებობები	აღჭურვილობა	სხვა	სულ
2023 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	23,120	5,778	65	28,963
შესყიდვები	265	3,423	–	3,688
ცვეთის ხარჯი	(3,960)	(1,381)	(65)	(5,406)
იჯარის მოდიფიცირება - მხოლოდ საზღაურის ცვლილება	–	30	–	30
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	19,425	7,850	–	27,275
შესყიდვები	361	1,696	–	2,057
ცვეთის ხარჯი	(3,930)	(2,213)	–	(6,143)
2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	15,856	7,333	–	23,189

ქვემოთ განსაზღვრულია საიჯარო ვალდებულებების საბალანსო ღირებულება და მოძრაობები პერიოდის განმავლობაში:

	2024	2023
1 იანვარს	28,393	28,911
შესყიდვები	2,057	3,688
გადახდილი ძირითადი თანხა	(5,014)	(4,225)
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	3,463	3,104
გადახდილი პროცენტი	(3,463)	(3,104)
იჯარის მოდიფიცირება - მხოლოდ საზღაურის ცვლილება	–	30
საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალი/(შემოსულობა), წმინდა	29	(11)
31 დეკემბრის	25,465	28,393
გრძელვადიანი წილი	20,231	23,604
მოკლევადიანი წილი	5,234	4,789

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

11. იჯარები (გაგრძელება)

ჯგუფი, როგორც მოიჯარე (გაგრძელება)

ქვემოთ მოცემულია მოგება-ზარალში აღიარებული თანხები:

	2024	2023
აქტივების გამოყენების უფლების ცვეთის ხარჯი	6,143	5,406
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	3,463	3,104
საკუროს სხვაობით განპირობებული ზარალი/(შემოსულობა), წმინდა	29	(11)
მოკლევადიან იჯარასთან, დაბალფასიან აქტივებთან და ცვლად საიჯარო გადახდებთან დაკავშირებული ხარჯი	3,591	4,474
სულ მოგება-ზარალში აღიარებული თანხა	13,226	12,973

2024 წელს იჯარებზე მთლიანი გასვლები, მათ შორის მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე საიჯარო აქტივები 12,068 ლარს (2023 წ.: 11,803 ლარი) შეადგენდა.

ჯგუფი, როგორც მეიჯარე

ჯგუფი სს „საქორგაზზე“ (საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო) იჯარით გასცემს ნავთობბაზებს, ოფისებს, ნავთობბაზიდან სატვირთოებს და მილსადენებს. ხელშეკრულებას აქვს შეუქცევადი ერთწლიანი ვადა. 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მომავალი მინიმალური მისაღები საიჯარო თანხები შეუქცევად საოპერაციო იჯარაზე 11,948 ლარს და 10,690 ლარს მოიცავდა, შესაბამისად. ამასთან თანხები სრულად უკავშირდებოდა მომდევნო წელს.

12. მარაგები

	2024	2023
ნავთობპროდუქტები ბენზინგასამართ სადგურებზე	9,177	13,871
ბენზინი ნავთობბაზებზე	7,105	17,451
დიზელი ნავთობბაზებზე	6,442	9,156
საქონელი ბენზინგასამართ სადგურებზე არსებულ მაღაზიებში	4,657	4,816
სათადარიგო ნაწილები	3,280	3,066
თხევადი ნავთობის გაზი	306	327
საქონელი გზაში	20	–
სხვა ნავთობპროდუქტები	–	15
სხვა მარაგები	5,754	7,468
	36,741	56,170

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ყველა მარაგი დაგირავებულია ქართული ბანკებიდან მიღებული სესხების უზრუნველყოფის სახით (მე-17 შენიშვნა).

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

13. სავაჭრო მოთხოვნები

	2024	2023
სავაჭრო მოთხოვნები ბუნებრივი გაზის გაყიდვიდან (საბითუმო)	189,250	130,574
სავაჭრო მოთხოვნები ბუნებრივი გაზის გაყიდვიდან (საცალო)	111,439	88,332
სავაჭრო მოთხოვნები ნავთობპროდუქტების გაყიდვიდან	18,114	13,223
სავაჭრო მოთხოვნები გაზიფიკაციიდან	7,292	7,861
სავაჭრო მოთხოვნები ტექნიკური სამუშაოდან და სხვა მომსახურებებიდან	3,004	8,117
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი (მე-8 შენიშვნა)	(16,142)	(16,617)
	312,957	231,490

ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნებში ფინანსური აქტივების საკრედიტო ხარისხის ანალიზი ასეთი იყო:

2024 წლის 31 დეკემბერი	მოკლევადიანი	ვადაგადაცილებული				სულ
		<30 დღე	30–60 დღე	61–90 დღე	>90 დღე (ა)	
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	0.53%	2.10%	21.08%	37.08%	88.31%	4.90%
დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული მოსალოდნელი მთლიანი საბალანსო ღირებულება	298,015	13,223	1,608	782	15,471	329,099
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(1,572)	(278)	(339)	(290)	(13,663)	(16,142)

(ა) 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილებით, მაგრამ გაუფასურების გარეშე სავაჭრო მოთხოვნების ნაშთი მეტწილად წარმოადგენს ერთი კონტრაქტის მიმართ მართებულ თანხებს. ჯგუფს აქვს გრძელვადიანი ურთიერთობა ამ კონტრაქტთან და მოთხოვნის ნაშთი ნაწილობრივ აღდგა შემდგომ პერიოდში.

2023 წლის 31 დეკემბერი	მოკლევადიანი	ვადაგადაცილებული				სულ
		<30 დღე	30–60 დღე	61–90 დღე	>90 დღე	
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განაკვეთი	0.67%	1.79%	2.56%	21.99%	79.44%	6.70%
დეფოლტის რისკის ქვეშ არსებული მოსალოდნელი მთლიანი საბალანსო ღირებულება	206,797	16,355	4,187	2,888	17,880	248,107
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(1,379)	(292)	(107)	(635)	(14,204)	(16,617)

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

14. სხვა აქტივები

	2024	2023
მომწოდებლებზე გადახდილი ავანსები	6,460	12,454
სხვა მოთხოვნები	952	5,634
გამოკლებული: რეზერვი (მე-8 შენიშვნა)	(470)	(1,146)
	6,942	16,942

15. საკუთარი კაპიტალი

2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის საწესდებო კაპიტალი 409,291 ლარია. აქციების განაწილება 31 დეკემბრის მდგომარეობით ასეთი იყო:

პარტნიორი:	2024	2023
მშობელი საწარმო	91.835%	75.505%
„Eventus General Trading FZE“	–	16.330%
„Intersun Holding FZCO“	8.165%	8.165%

დამატებითი მთლიანად ანაზღაურებული სააქციო კაპიტალი წარმოადგენს ჯგუფის მშობელი საწარმოს მიერ საწესდებო კაპიტალში ზედმეტად განხორციელებულ შენატანს და მშობელი საწარმოსგან მიღებული სესხის ტრანშების საწყისი აღიარებისას სამართლიან ღირებულებასა და ნომინალურ ღირებულებას შორის სხვაობას. 2024 წლის 4 აპრილს მშობელმა საწარმომ შეიძინა კომპანიაში 16,33%-იანი წილი არამაკონტროლებელი მფლობელისგან „Eventus General Trading FZE“, ხოლო მფლობელობის სტრუქტურა 91,835%-ით შეიცვალა.

16. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

	2024	2023
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკებში	13,079	15,786
ნაღდი ფული სალაროში	122	126
	13,201	15,912

ფულადი სახსრები ინახება წამყვან ქართულ ბანკებში. ფულადი სახსრების ანგარიშებზე ირიცხებოდა პროცენტი, რომლის ღირებულებაც არაარსებითია.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

17. სესხები და ნასესხები სახსრები

	სახელშეკრულებო		2024	2023
	ვალუტა	ვადადობა		
ადგილობრივი ბანკებისგან	აშშ დოლარი/			
ნასესხები სახსრები (ა)	ლარი	2025	494,596	435,818
სესხი მშობელი საწარმოსგან (ბ)	აშშ დოლარი	მოთხოვნამდე	15,681	137,259
„Eventus General Trading FZE“ (გ)	აშშ დოლარი	3-აპრ-24	–	18,243
შპს „SOCAR Overseas“ (დ)	აშშ დოლარი	27-აპრ-25	102,262	97,729
შპს „SOCAR Overseas“ (დ)	აშშ დოლარი	25-აგვ-26	47,144	44,864
სს „აგრარკრედიტი“ (ე)	აშშ დოლარი	1-მარ-27	–	11,253
			659,683	745,166
გრძელვადიანი წილი			11,852	46,935
მოკლევადიანი წილი			647,831	698,231

(ა) ადგილობრივი ბანკებისგან ნასესხები სახსრები

ადგილობრივი ბანკებისგან მიღებული სესხების მიზანია ჯგუფის მიმდინარე საოპერაციო საქმიანობების დაფინანსება. ადგილობრივ ბანკებთან გაფორმებული ყველა სასესხო ხელშეკრულება ჯგუფს ფინანსურ და არაფინანსურ შეზღუდვებს აკისრებს. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფს დარღვეული ჰქონდა ადგილობრივი ბანკებისგან აღებული ყველა სესხის შეზღუდვები. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ჯგუფს ყველა დარღვევაზე აქვს მიღებული მოთხოვნის უფლების დათმობის წერილები, რითაც ეს ბანკები თმობენ სესხის შეზღუდვების დარღვევის გამო დავალიანების დაფარვის მოთხოვნის უფლებას წინამდებარე კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების გაცემის თარიღიდან სულ მცირე 12 თვის განმავლობაში. ჯგუფი არ მოელის ამ სესხებიდან რომელიმეს დაფარვას მათი სახელშეკრულებო ვადის გასვლამდე.

(ბ) სესხი მშობელი საწარმოსგან

მშობელი საწარმოსგან სესხები აღება მოხდა 2026 წლის 3 ნოემბერს თითოეული ტრანშის მიღების თარიღიდან სამწლიანი დაფარვის ვადით, მთლიანი ლიმიტით 26,000,000 აშშ დოლარი. თითოეულ ტრანშს აქვს ცალკე დაფარვის გრაფიკი. სესხის ხელშეკრულების პირობები რამდენჯერმე შეიცვალა. 2019 წლის ბოლო ცვლილების თანახმად, დაფარვის პერიოდი 2024 წლამდე გახანგრძლივდა. სესხის თითოეული ტრანში ცალკე აღირიცხება და აღიარდება სამართლიანი ღირებულებით, ბაზრის საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. სხვაობა სესხის სამართლიან ღირებულებას და ნომინალურ ღირებულებას შორის აღიარებულია, როგორც დამატებითი მთლიანად ანაზღაურებული სააქციო კაპიტალი. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას სრულად ჰქონდა დაფარული ძირითადი თანხა სესხზე, რომლის დაფარვის ვადა იყო 2024 წლის 28 ოქტომბერი. თუმცა, საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით შესაბამისი საპროცენტო ვალდებულება დაუფარავი იყო და კლასიფიცირებული იყო მოკლევადიანი ვალდებულების სახით, რადგან ის მოთხოვნისას გადახდას ექვემდებარება. გადახდის გრაფიკებში განხორციელებული ცვლილებების გამო, კომპანიამ აღიარა 268 ლარის ოდენობით შემოსულობა (2023 წ.: 1,981 ლარი), რომელიც ფინანსურ შემოსავალშია წარდგენილი.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

17. სესხები და ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

(გ) სესხი „Eventus General Trading FZE“-სგან

2016 წლის 25 მარტს კომპანიამ არამაკონტროლებელი წილის მფლობელისგან „EVENTUS GENERAL TRADING FZE“ 20,000,000 აშშ დოლარი (44,574 ლარი) ისესხა. სესხის თავდაპირველი დაფარვის ვადა იყო გამოყენების თარიღიდან 7 წელი, თუმცა 2023 წელს მხარეები შეთანხმდნენ სესხის ვადის 2024 წლის 31 დეკემბრამდე გახანგრძლივებაზე. 2024 წლის 4 აპრილს კომპანიის სასესხო ვალდებულება „Eventus General Trading FZE“-ის მიმართ 15,521 ლარის (5,782,828 აშშ დოლარი) ოდენობით მშობელ საწარმოს გადაეცა. „Eventus General Trading FZE“-ისგან მიღებული სესხი ამოღებულია კომპანიის ბალანსიდან. შესაბამისად კომპანიამ აღიარა ფინანსური შემოსავალი 2,945 ლარის ოდენობით 2024 წელს.

(დ) სესხი შპს „SOCAR Overseas“-სგან

2017 წლის 7 ივნისს და 11 ოქტომბერს ჯგუფმა შპს „SOCAR Overseas“-სგან სესხად აიღო 34,600,000 აშშ დოლარი (83,345 ლარი) და 16,000,000 აშშ დოლარი (39,679 ლარი), შესაბამისად, გაზიფიკაციის პროექტის დასაფინანსებლად. სესხის დაფარვის ვადა 2019 წლის 22 თებერვლიდან 2025 წლის 27 აპრილამდე და 2026 წლის 25 აგვისტომდე გახანგრძლივდა, შესაბამისად. 2024 და 2023 წლების განმავლობაში, შეთანხმება შეიცვალა და საპროცენტო ვალდებულების ნაწილი გაუქმდა. 2024 წელს სესხის მოდიფიცირებისას კომპანიამ აღიარა ფინანსური შემოსავალი 8,743 ლარის (2023 წ.: 9,092 ლარი) ოდენობით. ამასთან, გადახდის გრაფიკებში განხორციელებული ცვლილებების გამო, კომპანიამ აღიარა 1,165 ლარის ოდენობით შემოსულობა (2023 წ.: 13,032 ლარი), რომელიც ფინანსურ შემოსავალშია წარდგენილი.

(ე) სს „აგრარკრედიტი“

2017 წლის 11 დეკემბერს ჯგუფმა შეიძინა შპს „ბლექ სი ინდასტრის“ (BSI) 100%-იანი წილი, რომელიც აქტივების შესყიდვის სახით აღირიცხა. ამ შესყიდვის შედეგად შპს „ბლექ სი ინდასტრის“ სასესხო ვალდებულებამ სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი საქართველოს“ მიმართ 16,199 ლარის (6,249,116 აშშ დოლარი) ოდენობით ჯგუფში გადავიდა. 2017 წლის 30 აგვისტოს სს „აზერბაიჯანის საერთაშორისო ბანკი საქართველომ“ ეს სესხი მიჰყიდა სს „აგრარკრედიტს“. 2019 წლის 18 ივლისს ჯგუფმა და სს „აგრარკრედიტმა“ გააფორმეს სესხის რესტრუქტურისა და ხელშეკრულება ახალი გადახდის გრაფიკით. ამ გრაფიკის მიხედვით, ძირითადი თანხის და პროცენტის მთლიანი ვალდებულება უნდა დაფარულიყო 2021 წლის ნოემბრამდე. ჯგუფს არ შეუსრულებია ხელშეკრულების პირობები და 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სესხს მოთხოვნამდე კლასიფიკაცია განუსაზღვრა.

2022 წელს ხელშეკრულება შეიცვალა და განისაზღვრა დაფარვის გრაფიკი. სესხის დაფარვის ვადა 2027 წლის 1 მარტამდე გახანგრძლივდა. თუმცა, 2024 წლის 30 ივლისს ჯგუფმა გადაიხადა ავანსი და წინსწრებით სრულად დაფარა სესხის დარჩენილი ნაშთი.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

17. სესხები და ნასესხები სახსრები (გაგრძელება)

(ვ) ფინანსური დანახარჯები

	2024	2023
საპროცენტო ხარჯი მშობელი საწარმოსგან მიღებულ სესხზე	12,178	16,110
საპროცენტო ხარჯი სხვა სესხებსა და ნასესხებ სახსრებზე	70,868	68,369
ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებულ ვალდებულებაზე გაწეული ფინანსური დანახარჯი (მე-18 შენიშვნა)	9,690	7,434
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	3,463	3,104
	96,199	95,017

(ზ) ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან წარმოშობილ ვალდებულებებში:

	2024	2023
1 იანვარს	745,166	736,950
მიღებული ძირითადი თანხა	355,653	323,979
გადახდილი ძირითადი თანხა	(460,557)	(310,269)
დარიცხული პროცენტი	83,046	84,479
გადახდილი პროცენტი	(65,972)	(61,012)
სესხის მოდიფიცირებაზე აღიარებული ფინანსური შემოსავალი (17გ, დ შენიშვნა)	(11,688)	(9,092)
შემოსულობა ხელახლა შეფასებიდან (მე-17 ბ, დ შენიშვნა)	(1,433)	(16,544)
საკურსო სხვაობით განპირობებული ზარალი/(შემოსულობა), წმინდა	15,468	(3,325)
31 დეკემბერს	659,683	745,166

(თ) ფინანსური შემოსავალი

	2024	2023
სესხის მოდიფიცირებაზე აღიარებული ფინანსური შემოსავალი (17გ, დ შენიშვნა)	11,688	9,092
შემოსულობა სესხის ხელახლა შეფასებიდან (მე-17 ბ, დ შენიშვნა)	1,433	16,544
სხვა	107	76
	13,228	25,712

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

18. სახელმწიფო გრანტი და გრძელვადიანი ვალდებულება ძირითადი საშუალებების შეძენიდან

სახელმწიფო გრანტი	2024	2023
1 იანვრის მდგომარეობით	128,757	68,301
მიღებული წლის განმავლობაში (ა)	5,960	68,896
აღიარებული კონსოლიდირებულ მოგება-ზარალში	(16,314)	(8,440)
31 დეკემბრის მდგომარეობით	118,403	128,757
მოკლევადიანი წილი	16,962	16,071
გრძელვადიანი წილი	101,441	112,686
გრძელვადიანი ვალდებულება ძირითადი საშუალებების შეძენიდან	2024	2023
1 იანვრის მდგომარეობით	74,652	55,057
შესყიდვები წლის განმავლობაში (ა)	2,387	20,422
ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებულ ვალდებულებაზე გაწეული ფინანსური დანახარჯი	9,690	7,434
ძირითადი საშუალებების შეძენისთვის მოკლევადიანი ვალდებულებების რეკლასიფიკაცია	(8,024)	(8,261)
31 დეკემბრის	78,705	74,652

- (ა) 2024 წელს ჯგუფმა გააფორმა ხელშეკრულება „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოსთან“ მილსადენების 8,347 ლარის ღირებულების მქონე ქსელის შეძენაზე, რომელიც სახელმწიფომ ააშენა და ჯგუფს გადასცა იმ ვალდებულებით, რომ ჯგუფს განეხორციელებინა იმ აბონენტების გაზომომარაგება, რომლებიც გადაცემულ ქსელებზე არიან დაერთებული. ჯგუფს აქვს ვალდებულება „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ გადაუხადოს 8,347 ლარი 10 ტრანშის სახით 2031-2040 წლებში (საშეღავათო პერიოდი 2025-2030 წლები). აღიარების თარიღში ვალდებულების დისკონტირებული ღირებულება, ე.ი. სამართლიანი ღირებულება 2,387 ლარის ოდენობით აღიარებულია, როგორც გრძელვადიანი ვალდებულება ძირითადი საშუალებების შეძენიდან. სხვაობა ვალდებულების ნომინალურ ღირებულებას (8,347 ლარი) და სამართლიან ღირებულებას შორის 5,960 ლარია - თანხა, რომელიც აღიარებულია სახელმწიფო გრანტის სახით. გრძელვადიანი ვალდებულების მთლიანი ნაშთი 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს“ უკავშირდება.

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)**

19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

	<i>2024</i>	<i>2023</i>
გაზის შესყიდვასა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ვალდებულებები (ა) (გ)	388,360	239,582
მოკლევადიანი ვალდებულება ძირითადი საშუალებების შემენისთვის (ბ) (გ)	46,969	37,208
ნავთობპროდუქტების შესყიდვასა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ვალდებულებები (ა)	15,036	44,584
სხვა ვალდებულებები	21,067	20,681
	471,432	342,055

(ა) გაზის და ნავთობპროდუქტების შესყიდვასა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ვალდებულებები

ზემოთ მოცემულ ფინანსურ ვალდებულებებს ჰქონდა შემდეგი სახელშეკრულებო პირობები:

- ▶ ვალდებულებებზე არ ირიცხება პროცენტი და ჩვეულებრივ მათი დაფარვის ვადაა 45 დღე;
- ▶ ვალდებულებები მეტწილად ლარში და აშშ დოლარშია გამოხატული.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაზის შესყიდვასა და ტრანსპორტირებასთან დაკავშირებული ვალდებულებები ასევე მოიცავდა ფაქტორინგულ ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ვალდებულებას 31,948 ლარის (2023 წლის 31 დეკემბერს: 65,112 ლარი) ოდენობით, რომელიც საქართველოს კომერციულ ბანკშია ფაქტორირებული. ფაქტორინგული ხელშეკრულება მოკლევადიანია და ვადა გაუვიდა 2025 წლის 15 აპრილს.

(ბ) მოკლევადიანი ვალდებულება ძირითადი საშუალებების შემენისთვის

ძირითადი საშუალებების შესყიდვასთან დაკავშირებული მოკლევადიანი ვალდებულებები ძირითადად გაზიფიკაციის პროექტებს უკავშირდება. ეს თანხა ასევე მოიცავს ფაქტორინგულ ხელშეკრულებებთან დაკავშირებულ ვალდებულებას. 2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ჯგუფის ვალდებულებები 24,989 ლარის (2023 წლის 31 დეკემბერს: 16,815 ლარი) ოდენობით მილსადენების მშენებლობის სამუშაოებისთვის, ორ ქართულ კომერციულ ბანკზე მოდიოდა. ფაქტორინგული ხელშეკრულებები მოკლევადიანია და მათი დაფარვის დროა 2025 წლის აპრილი.

**კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)**

19. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (გაგრძელება)

(გ) მომწოდებლის ფინანსური გარიგებები

ჯგუფმა გააფორმა მომწოდებლის ფინანსური გარიგება, რომელიც ჯგუფის რამდენიმე მნიშვნელოვან მომხმარებელს შესთავაზა. გარიგებაში მონაწილეობა მომწოდებლების შეხედულებისამებრ ხდება. მომწოდებლები, რომლებიც მონაწილეობენ მომწოდებელთა ფინანსურ გარიგებაში მიიღებენ გადახდას ჯგუფისთვის გაგზავნილ ინვოისებზე ჯგუფის გარე დაფინანსების უზრუნველყოფი პროვაიდერისგან. დაფინანსების უზრუნველყოფი პროვაიდერის მიერ ინვოისების გადახდის მიზნით, ინვოისები უნდა დამტკიცდეს ჯგუფის მიერ. მომხმარებლებისთვის გადახდილი თანხა ინვოისში გაწერილ გადახდის ვადაზე ადრე დამუშავდება ფინანსური მომსახურების პროვაიდერის მიერ და ყველა შემთხვევაში ჯგუფი ანაზღაურებას ახორციელებს თავდაპირველი ინვოისის საფუძველზე, დაფინანსების პროვაიდერის მიმართ, ზემოდ აღწერილი თავდაპირველი ინვოისის დაფარვის თარიღთან ერთად. მომწოდებლებთან გადახდის პირობები არ არის რესტრუქტურულიზებული გარიგებასთან მიმართებით. ჯგუფი არ გასცემს უზრუნველყოფას დაფინანსების პროვაიდერზე.

ვალდებულებების საბალანსო ღირებულება	2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
შესული სავაჭრო და სხვა ვალდებულებებში	56,937	81,927
- საიდანაც მომწოდებელს მიღებული აქვს გადახდები	56,937	81,927
გადახდის თარიღების დიაპაზონი (ინვოისის გაცემის თარიღიდან დღეების რაოდენობა)		
ვალდებულებები, რომლებიც გარიგების ნაწილს წარმოადგენენ შესადარისი სავაჭრო მოთხოვნები, რომლებიც არ წარმოადგენენ გარიგებების ნაწილს	116-365	133-299
	30-45	30-45

20. პირობითი ვალდებულებები

(ა) სხვა საგადასახადო პირობითი ვალდებულებები

ჯგუფს აქვს დარიცხული ანარიცხები, რომლებიც დაფუძნებულია ხელმძღვანელობის შეძლებისდაგვარად ზუსტ შეფასებებზე. საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციებს, და შესაძლოა ხშირი იყოს ცვლილებები. ხელმძღვანელობის მიერ ჯგუფის ოპერაციებთან და საქმიანობებთან დაკავშირებული ამგვარი კანონმდებლობის ინტერპრეტაციები შეიძლება ექვემდებარებოდეს შესაბამისმა სახელმწიფო ორგანოებმა. ამის გამო ჯგუფს შეიძლება დაეკისროს დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და საურავები.

თითოეული საანგარიშგებო თარიღისთვის ხელმძღვანელობა აფასებს თავის საგადასახადო პოზიციას და განიხილავს იმ გარიგებებს, რომლებიც შეიძლება ექვემდებარებოდეს საგადასახადო ორგანოებმა. როდესაც ამის ალბათობა მაღალია, ჯგუფი ქმნის შესაბამის ანარიცხებს. ხელმძღვანელობის შეფასებით, საგადასახადო რისკი, რომელიც არ აკმაყოფილებდა ანარიცხების შექმნისთვის საჭირო კრიტერიუმებს, 2024 წლის 31 დეკემბრისთვის არ არის არსებითი.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

20. პირობითი ვალდებულებები (გაგრძელება)

(ბ) გაცემული გარანტიები

2024 და 2023 წლებში ჯგუფმა გასცა შემდეგი საგარანტიო ხელშეკრულებები:

	ვალუტა	დაფარვის ვადა	2024	2023
დაკავშირებული მხარე				
სს „საქორგგაზი“	ლარი	1-აპრ-2025	42,348	45,057
არადაკავშირებული მხარე				
შპს „კონფიდენს გრუპი“	ლარი	14-თებ-2025	9,220	9,355

2024 და 2023 წლებში ჯგუფს არ ჰქონია გაცემული გარანტიებიდან ფულადი სახსრების გასვლა.

21. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკების მართვა

მიმოხილვა

ჯგუფის ძირითადი ფინანსური ვალდებულებები შედგება სესხებისგან და ნასესხები სახსრებისგან, საიჯარო ვალდებულებებისგან, სავაჭრო და სხვა ვალდებულებებისგან, ძირითადი საშუალებების შეძენიდან წარმოშობილი გრძელვადიანი ვალდებულებისგან და ფინანსური გარანტიის ხელშეკრულებებისგან. ამ ფინანსური ვალდებულებების ძირითადი მიზანია ჯგუფის ოპერაციების დაფინანსება და გარანტიების გაცემა თავისი ოპერაციების მხარდასაჭერად. ჯგუფის ძირითადი ფინანსური აქტივები მოიცავს სესხებს, სავაჭრო და სხვა მოთხოვნებს, წილობრივ ინსტრუმენტს და ნაღდ ფულს ბანკში, რომლებიც პირდაპირ მისი ოპერაციებიდან მომდინარეობს.

ჯგუფის საქმიანობისთვის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო, ლიკვიდობის და საბაზრო რისკები. ჯგუფი მშობელი საწარმოს კონტროლის ქვეშ მყოფი დიდი ჯგუფის ნაწილია. ფინანსური რისკების უმეტესობის ზედამხედველობა და კონტროლი ხდება მშობელი საწარმოს დონეზე. ფინანსური ვალდებულებების უმეტესობა ჯგუფს საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოების მიმართ აქვს. ჯგუფის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური რისკის მართვის მიზანია ჯგუფის ყოველდღიური ოპერაციების შესრულების უზრუნველყოფა, ოპერაციებიდან საკმარისი ნაღდი ფულის მიღება, რომ დააფინანსოს საოპერაციო და მიმდინარე კაპიტალური დანახარჯები და სასესხო ვალდებულებები მესამე მხარეების მიმართ.

(ა) საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ კონტრაქტის ვერ შეასრულებს ფინანსური ინსტრუმენტით ან მომხმარებელთან გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ამით ორგანიზაციას ფინანსური ზარალი მიადგება. ჯგუფს საკრედიტო რისკი აქვს საოპერაციო საქმიანობიდან (ძირითადად სავაჭრო მოთხოვნები) და საფინანსო საქმიანობიდან, ასევე ბანკებსა და ფინანსურ ინსტიტუტებში განთავსებული ანგარიშებიდან, სავალუტო გარიგებებიდან და სხვა ფინანსური ინსტრუმენტებიდან გამომდინარე.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

21. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკების მართვა (გაგრძელება)

(ა) საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

სავაჭრო მოთხოვნის ნაშთი მოიცავს მოთხოვნებს იმ აბონენტების მიმართ, რომლებსაც ჯგუფი ბუნებრივ გაზს მიაწვდის და ბუნებრივი გაზის საბითუმო მომხმარებლების მიმართ, რომლებიც ნავთობპროდუქტებს ყიდულობენ ჯგუფისგან.

სხვა აქტივების უმეტესობა მოიცავს მოთხოვნებს იურიდიული და ფიზიკური პირი აბონენტების გაზიფიკაციის მომსახურებებიდან. ჯგუფის სავაჭრო მოთხოვნების საკრედიტო რისკის მართვა უფრო დაწვრილებით არის განხილული მე-13 შენიშვნაში.

ხელმძღვანელობა საკრედიტო რისკს აკონტროლებს ნაღდი ფულის განთავსებით საქართველოს უმაღლესი რეიტინგის მქონე ბანკებში, რომლებსაც ჯგუფთან უწყვეტი საქმიანი ურთიერთობა აკავშირებთ.

მაქსიმალური საკრედიტო რისკის ზომა საანგარიშგებო თარიღში იყო:

	<i>საბალანსო ღირებულება</i>	
	<i>2024</i>	<i>2023</i>
სავაჭრო მოთხოვნები (მე-13 შენიშვნა)	312,957	231,490
ნაღდი ფულის ნაშთი ბანკში (მე-16 შენიშვნა)	13,079	15,786
სხვა მოთხოვნები	482	4,488
	326,518	251,764

(ბ) ლიკვიდობის რისკი

ლიკვიდობის რისკი არის რისკი იმისა, რომ ჯგუფს გაუჭირდება ფინანსური ვალდებულებების შესრულება, რაც გულისხმობს მათ დაფარვას ფულადი სახსრებით ან სხვა რომელიმე ფინანსური აქტივით. ლიკვიდობის მართვის მიმართ ჯგუფის მიდგომაა, შეძლებისდაგვარად იმის უზრუნველყოფა, რომ ყოველთვის ჰქონდეს ვადადამდგარი ვალდებულებების დაფარვისთვის საკმარისი ლიკვიდობა როგორც ნორმალურ, ისე სტრესულ პირობებში, დაუშვებელი დანაკარგების განცდისა და ჯგუფის რეპუტაციისთვის საფრთხის შექმნის გარეშე.

ლიკვიდობის რისკის გონივრული მართვა გულისხმობს საკმარისი რაოდენობის ფულადი სახსრების შენარჩუნებას და დაფინანსების ხელმისაწვდომობას საკმარისი საკრედიტო თანხების საშუალებით. ფინანსური ვალდებულებების მნიშვნელოვანი ნაწილი ჯგუფს დაკავშირებული მხარეების მიმართ აქვს, შესაბამისად ხელმძღვანელობა დარწმუნებულია, რომ ეს ჯგუფს ანიჭებს შესაბამის მოქნილობას გადახდების ვადებთან დაკავშირებით, რაც საჭიროა ბიზნესში ადეკვატური ლიკვიდობის უზრუნველსაყოფად მომავალში. მე-2 შენიშვნაში განხილულია ჯგუფის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს შეფასებასთან დაკავშირებით გაკეთებული დაშვებები.

ქვემოთ მოცემულია ფინანსური ვალდებულებების სახელშეკრულებო ვადიანობა, პროცენტის მოსალოდნელი გადახდების ჩათვლით. მოსალოდნელი არ არის, რომ ვადიანობის ანალიზში შესული ფულადი ნაკადები მნიშვნელოვნად უფრო ადრე, ან მნიშვნელოვნად განსხვავებული ოდენობით.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

21. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკების მართვა (გაგრძელება)

(ბ) ლიკვიდობის რისკი (გაგრძელება)

2024 წლის 31 დეკემბერი	საბალანსო ღირებულება	სახელშე- კრულებო ფულადი ნაკადები	< 1 წელი	1-5 წელი	> 5 წელი
ფინანსური ვალდებულებები					
პროცენტიანი სესხები და ნასესხები					
სახსრები(მე-17 შენიშვნა)	659,683	682,805	670,653	12,152	–
საიჯარო ვალდებულებები (მე-11 შენიშვნა)	25,465	35,153	8,083	24,110	2,960
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (მე-19 შენიშვნა)	471,432	471,432	471,432	–	–
გრძელვადიანი ვალდებულება ძირითადი საშუალებების შეძენიდან	78,705	220,512	–	38,044	182,468
გაცემული გარანტიები (მე-20 შენიშვნა)	–	51,568	51,568	–	–
	1,235,285	1,461,470	1,201,736	74,306	185,428

2023 წლის 31 დეკემბერი	საბალანსო ღირებულება	სახელშე- კრულებო ფულადი ნაკადები	< 1 წელი	1-5 წელი	> 5 წელი
ფინანსური ვალდებულებები					
პროცენტიანი სესხები და ნასესხები					
სახსრები(მე-17 შენიშვნა)	745,166	781,834	732,292	49,542	–
საიჯარო ვალდებულებები (მე-11 შენიშვნა)	28,393	38,451	7,556	29,957	938
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები (მე-19 შენიშვნა)	342,055	342,055	342,055	–	–
გრძელვადიანი ვალდებულება ძირითადი საშუალებების შეძენიდან	74,652	212,165	–	26,566	185,599
გაცემული გარანტიები (მე-20 შენიშვნა)	–	54,412	54,412	–	–
	1,190,266	1,428,917	1,136,315	106,065	186,537

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

21. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკების მართვა (გაგრძელება)

(გ) საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება საბაზრო ფასების მერყეობის გამო. საბაზრო ფასები ორი ტიპის რისკს შეიცავს: საპროცენტო განაკვეთის რისკი და სავალუტო რისკი. ფინანსური ინსტრუმენტები, რომლებზეც საბაზრო რისკი მოქმედებს, არის სესხები და ნასესხები სახსრები, სავაჭრო ვალდებულებები, მიმდინარე ანგარიშები ბანკებში და სავაჭრო მოთხოვნები.

ქვემოთ წარმოდგენილი მგრძნობელობის ანალიზი ეხება პოზიციას 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. მგრძნობელობის ანალიზი მომზადებულია იმ საფუძველზე, რომ წმინდა ვალის ოდენობა, სესხის განაკვეთის პროფილი და ფინანსური ინსტრუმენტების პროპორციული წილი უცხოურ ვალუტებში მუდმივია.

ჯგუფს აქვს ღია საპროცენტო განაკვეთის და სავალუტო პოზიცია, რომელზეც ზეგავლენას ახდენს ბაზრის ზოგადი და კონკრეტული ცვლილებები.

სავალუტო რისკი გამოიხატება იმაში, რომ ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება შეიძლება მერყეობდეს სავალუტო კურსის ცვლილების გამო. ჯგუფისთვის დამახასიათებელი სავალუტო კურსის ცვლილების რისკი ძირითადად უკავშირდება უცხოურ ვალუტაში გამოხატულ ფინანსურ ვალდებულებებს.

ჯგუფი არ ახდენს გაცვლითი კურსის რისკის წინააღმდეგ ჰეჯირებას.

სავალუტო რისკის მოცულობა

ჯგუფის სავალუტო რისკი ასეთი იყო:

	აშშ დოლარში გამოხატული	
	2024	2023
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	6,135	1,972
სავაჭრო მოთხოვნები	2,765	59
პროცენტიანი სესხები და ნასესხები სახსრები	(312,339)	(409,341)
საიჯარო ვალდებულებები	(2,079)	(1,213)
სავაჭრო ვალდებულებები	(144,389)	(130,587)
წმინდა რისკის ზომა	(449,907)	(539,110)

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

21. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკების მართვა (გაგრძელება)

(გ) საბაზრო რისკი (გაგრძელება)

უცხოური ვალუტის მგრძნობელობა

ქვედა ცხრილში ასახულია მგრძნობელობა აშშ დოლარის გაცვლითი კურსის გონივრულად მოსალოდნელი ცვლილებების მიმართ, როდესაც ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია. ჯგუფის დასაბეგრ მოგებაზე/(ზარალზე) გავლენას ახდენს ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულების ცვლილება. ჯგუფის რისკის ზომა ვალუტის კურსის ცვლილების მიმართ ყველა სხვა ვალუტისთვის არაარსებითია.

	გამყარება	გაუფასურება
2024 წლის 31 დეკემბერი		
აშშ დოლარი (8%/-2%-იანი ცვლილების დინამიკა)	(36,217)	8,998
2023 წლის 31 დეკემბერი		
აშშ დოლარი (19%/19%-იანი ცვლილების დინამიკა)	(101,568)	101,568

საპროცენტო განაკვეთის რისკი

საპროცენტო განაკვეთის რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტების სამომავლო ფულადი ნაკადების სამართლიანი ღირებულება ცვალებადი იქნება ბაზრის საპროცენტო განაკვეთების მერყეობის გამო. ჯგუფის დაქვემდებარება ბაზრის საპროცენტო განაკვეთების ცვლილების რისკზე უპირატესად უკავშირდება მცოცავი საპროცენტო განაკვეთის მქონე სესხებისა და ნასესხები სახსრების კონკრეტულ ნაწილს.

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია სესხებზე და ნასესხებ სახსრების ნაწილზე საპროცენტო განაკვეთებში შესაძლო ცვლილებების მგრძნობელობა, ყველა სხვა ცვლადის უცვლელად შენარჩუნებით და ჯგუფის დაბეგვრამდე მოგებაზე მცოცავი სავალუტო კურსის მქონე ნასესხებ სახსრებზე გავლენით:

	საბაზისო პუნქტით ზრდა/კლება	ეფექტი მოგებაზე დაბეგვრამდე
2024 წლის 31 დეკემბერი	450/-39	(2,517)/217
2023 წლის 31 დეკემბერი	382/-382	(3,879)/3,879

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

21. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკების მართვა (გაგრძელება)

(დ) სამართლიანი ღირებულება

სამართლიანი ღირებულების შეფასება ხორციელდება იმ მიახლოებითი თანხის დასადგენად, რომელზეც შეიძლება გაიცვალოს ფინანსური ინსტრუმენტი გარიგების მსურველ მხარეებს შორის „გაშლილი ხელის მანძილის“ პრინციპით შესრულებული ოპერაციის დროს. თუმცა, განუსაზღვრელობების და სუბიექტური მოსაზრებების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული ისე, რომ მისი რეალიზება შესაძლებელია აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვით ან ვალდებულებების დაფარვით.

ქვემოთ წარმოდგენილია ჯგუფის 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო და სამართლიანი ღირებულებების შედარება კლასების მიხედვით.

		საბალანსო ღირებულება		სამართლიანი ღირებულება	
	დონე	2024	2023	2024	2023
ფინანსური აქტივები					
სავაჭრო მოთხოვნები	მე-3				
(მე-13 შენიშვნა)	დონე	312,957	231,490	312,957	231,490
	მე-3				
სხვა მოთხოვნები	დონე	482	4,488	482	4,488
ფულადი სახსრები და მათი					
ექვივალენტები	1-ლი				
(მე-16 შენიშვნა)	დონე	13,201	15,912	13,201	15,912
სულ ფინანსური აქტივები		326,640	251,890	326,640	251,890
ფინანსური ვალდებულებები					
პროცენტუიანი სესხები და					
ნასესხები სახსრები	მე-3				
(მე-17 შენიშვნა)	დონე	(659,683)	(745,166)	(657,403)	(758,628)
საიჯარო ვალდებულებები	მე-3				
(მე-11 შენიშვნა)	დონე	(25,465)	(28,393)	(16,633)	(28,705)
სავაჭრო და სხვა					
ვალდებულებები	მე-3				
(მე-19 შენიშვნა)	დონე	(471,432)	(342,055)	(471,432)	(342,055)
გრძელვადიანი ვალდებულება					
ძირითადი საშუალებების	მე-3				
შეძენიდან (მე-18 შენიშვნა)	დონე	(78,705)	(74,652)	(75,435)	(69,432)
სულ ფინანსური					
ვალდებულებები		(1,235,285)	(1,190,266)	(1,220,903)	(1,198,820)

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

21. ფინანსური ინსტრუმენტები და რისკების მართვა (გაგრძელება)

(დ) სამართლიანი ღირებულება (გაგრძელება)

სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად გამოყენებულია შემდეგი მეთოდები და დაშვებები:

- ▶ ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები, სავაჭრო მოთხოვნები და სავაჭრო და სხვა ვალდებულებები უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას, ამ ინსტრუმენტების მოკლევადიანი ხასიათის გამო;
- ▶ სესხების და ნასესხები სახსრების, საიჯარო ვალდებულებების და ძირითადი საშუალებების შესყიდვიდან მიღებული გრძელვადიანი ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება ფასდება დისკონტირებული მომავალი ფულადი ნაკადების სახით, საანგარიშგებო თარიღში მოქმედი საბაზრო განაკვეთების გამოყენებით. ჯგუფმა აირჩია საინვესტიციო ქონების სამართლიანი ღირებულებით შეფასება (მე-10 შენიშვნა).

(ე) კაპიტალის მართვა

ჯგუფს არ აქვს კაპიტალის მართვის ოფიციალური პოლიტიკა, მაგრამ ხელმძღვანელობა ცდილობს შეინარჩუნოს შესაბამისი კაპიტალის, რომ დაკმაყოფილდეს ჯგუფის საოპერაციო და სტრატეგიული მიზნები.

22. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

(ა) ოპერაციები ხელმძღვანელობასთან

ჯგუფის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობა 2024 წელს 6 პირისგან (2023 წ.: 7 პირი) შედგებოდა. 2024 წელს მის მიერ მიღებული ანაზღაურების ჯამი 6,061 ლარს (2023 წ.: 2,965 ლარი) შეადგენდა და მოიცავდა ხელფასებსა და დასაქმებულთა სხვა გასამრჯელოებს.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

22. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები (გაგრძელება)

(ბ) დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული გაყიდვები და შესყიდვები

საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმო	2024	2023	მოთხოვნები/ (ვალდებულებები)	
			2024 წლის 31 დეკემბერი	2023 წლის 31 დეკემბერი
გაყიდვები				
შპს „შავი ზღვის ტერმინალი“	5,014	3,784	118	661
სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“	62,119	56,162	8,096	16
სს „საქორგაზი“	11,812	15,057	1,094	11,530
სოკარის წარმომადგენლობა საქართველოში	1,021	1,020	3	1
ჯგუფის წარმომადგენლობა ბაქოში	408	–	–	–
შპს „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტი“	25,307	22,884	9,653	11,407
„სოკარის“ მარკეტინგისა და ოპერაციების დეპარტამენტი (მშობელი საწარმო)	2,717	–	2,725	–
„SOCAR TRADING MIDDLE EAST DMCC“	5,497	–	–	–
შპს „SOCAR Overseas“	4,483	22,553	–	–
შპს „სოკარ მიდსთრიმ ოპერეიშენს - საქართველოს ფილიალი“	177	107	17	–
	118,555	121,567	21,706	23,615
ნათივობპროდუქტების, ბუნებრივი გაზის და სხვა მომსახურებების შესყიდვა				
„სოკარის“ მარკეტინგისა და ოპერაციების დეპარტამენტი (მშობელი საწარმო)	132,726	146,519	(36)	(23,368)
„სოკარ გაზის“ საოპერაციო დეპარტამენტი (მშობელი საწარმო)	386,058	530,642	(139,445)	(88,203)
შპს „სოკარ გაზ ექსპორტ-იმპორტი“	189,956	176,999	(64,218)	(16,041)
სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“	1,876	1,257	(1,955)	(1,879)
სს „საქორგაზი“	127,425	112,156	(26,141)	–
შპს „შავი ზღვის ტერმინალი“	937	–	(11)	–
„SOCAR TRADING MIDDLE EAST DMCC“	32,304	–	–	–
„სოკარის“ ინფორმაციული ტექნოლოგიებისა და კომუნიკაციების დეპარტამენტი	1,368	–	(1,615)	–
„SOCAR Logistics DMCC“	–	16	–	(23)
„SOCAR Trading SA“	134	210	(134)	–
ჯგუფის წარმომადგენლობა ბაქოში	–	1,280	79	1,642
სოკარის წარმომადგენლობა საქართველოში	10,536	–	(141)	(141)
	883,320	969,079	(233,617)	(128,013)

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

22. დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები (გაგრძელება)

(გ) სესხები და იჯარები

იჯარა (ფინანსური დანახარჯები და საიჯარო ვალდებულებები)	საპროცენტო ხარჯი 2024	საპროცენტო ხარჯი 2023	ვალდებულე- ბები დაკავშირებუ- ლი მხარეების მიმართ	ვალდებულე- ბები დაკავშირებუ- ლი მხარეების მიმართ
			2024 წლის 31 დეკემბრის	2023 წლის 31 დეკემბრის
სოკარის წარმომადგენლობა საქართველოში	2,395	2,733	(17,289)	(19,991)
სს „სოკარ ჯორჯია გაზ დისტრიბუშენ“	189	215	(1,336)	(1,575)
სს „საქორგაზი“	472	271	(3,263)	(3,844)
	3,056	3,219	(21,888)	(25,410)

სესხების და ნასესხები სახსრების ნაწილი 2024 წლისა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით უკავშირდება მშობელი საწარმოსგან „Eventus General Trading FZE“ და საერთო კონტროლს დაქვემდებარებული საწარმოსგან - შპს „SOCAR Overseas“ მიღებულ სესხებს (მე-17 შენიშვნა).

23. ინფორმაცია სეგმენტის შესახებ

მართვის მიზნებისთვის, ჯგუფი დაყოფილია ბიზნეს ერთეულებად მისი პროდუქტების და მომსახურებების მიხედვით და მას შემდეგი სამი ანგარიშვალდებული სეგმენტი აქვს:

- ▶ ნავთობპროდუქტების სეგმენტი, რომელიც ახორციელებს ნავთობპროდუქტების იმპორტირებას და გადაყიდვას საცალო და საბითუმო მომხმარებლებზე ბენზინგასამართ სადგურებზე და ნავთობის ბაზებზე, ასევე გასწევს შესაბამის მომსახურებებს. ეს სეგმენტი ასევე მოიცავს ბუნებრივი გაზის გაყიდვას გაზგასამართ სადგურებზე ავტოსატრანსპორტო საშუალებებისთვის.
- ▶ ბუნებრივი გაზის სეგმენტი, რომელიც ახორციელებს ბუნებრივი გაზის იმპორტს და დისტრიბუციას იურიდიულ პირებზე და საყოფაცხოვრებო მომხმარებლებზე საქართველოს რეგიონში, გაზგამანაწილებელი ქსელით, ასევე გასწევს შესაბამის მომსახურებებს.
- ▶ სხვა სეგმენტი, რომელიც მოიცავს გაყიდვებს ბენზინგასამართი სადგურების მაღაზიებზე, დაცვის მომსახურებებს და სხვა მცირე ოპერაციებს.

ხელმძღვანელობა განცალკევებით აკონტროლებს მისი ბიზნეს-ერთეულის საოპერაციო საქმიანობის შედეგებს რესურსების განაწილების და შესრულების მაჩვენებლების შეფასების შესახებ გადაწყვეტილების მიღების მიზნით. სეგმენტის შესრულების მაჩვენებელი ფასდება საოპერაციო მოგება-ზარალის საფუძველზე და განისაზღვრება თანმიმდევრულად საოპერაციო მოგება-ზარალით კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. თუმცა ჯგუფის საფინანსო (მათ შორის ფინანსური დანახარჯი და ფინანსური შემოსავალი) და მოგების გადასახადები იმართება ჯგუფის დონეზე და არ გადანაწილდება საოპერაციო სეგმენტებზე.

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები
(გაგრძელება)

23. ინფორმაცია სეგმენტის შესახებ (გაგრძელება)

ფასების გადატანა საოპერაციო სეგმენტებს შორის მეტწილად გაშლილი ხელის მანძილის პრინციპით ხორციელდება ისეთი ფორმით, როგორც ოპერაციები მესამე მხარეებთან, ან სათანადო კანონმდებლობის შესაბამის სხვა სისტემატიურ საფუძველზე.

2024	ნავთობპრო- დუქტები	ბუნებრივი გაზი	სხვა	ელიმინირე- ბები	კონსოლიდი- რებული
ამონაგები					
გარე მომხმარებლები	569,032	1,390,554	78,443	–	2,038,029
შიდა სეგმენტური	4,544	5,943	183,744	(194,231)	–
სულ ამონაგები	573,576	1,396,497	262,187	(194,231)	2,038,029
გაუნაწილებელი მუხლები:					
ფინანსური შემოსავალი	–	–	–	–	13,228
ფინანსური დანახარჯი	–	–	–	–	(96,199)
წლის (ზარალი)/მოგება	(42,491)	134,847	(36,381)	–	55,975
სულ აქტივები					
მთლიანი აქტივები შიდა					
სეგმენტურის გარდა	241,646	917,381	334,599	–	1,493,626
შიდა სეგმენტური	4,042	375,248	526,347	(905,637)	–
სულ აქტივები, შიდა	245,688	1,292,629	860,946	(905,637)	1,493,626
სულ ვალდებულებები					
სულ ვალდებულებები შიდა					
სეგმენტურის გარდა	(525,808)	(778,824)	(68,592)	–	(1,373,224)
შიდა სეგმენტური	(487,493)	(3,547)	(4,290)	495,330	–
სულ ვალდებულებები შიდა	(1,013,301)	(782,371)	(72,882)	495,330	(1,373,224)

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

23. ინფორმაცია სეგმენტის შესახებ (გაგრძელება)

2023	ნავთობ- პროდუქტები	ბუნებრივი გაზი	სხვა	ელიმინირე- ბები	კონსოლიდი- რებული
ამონაგები					
გარე მომხმარებლები	549,981	1,434,195	67,793	–	2,051,969
შიდა სეგმენტური	2,173	7,768	6,938	(16,879)	–
სულ ამონაგები	552,154	1,441,963	74,731	(16,879)	2,051,969
გაუნაწილებელი მუხლები:					
ფინანსური შემოსავალი	–	–	–	–	25,712
ფინანსური დანახარჯი	–	–	–	–	(95,017)
წლის მოგება/(ზარალი)	(57,594)	176,064	(16,915)	–	101,555
სულ აქტივები					
მთლიანი აქტივები შიდა					
სეგმენტურის გარდა	274,757	876,247	253,158	–	1,404,162
შიდა სეგმენტური	5,862	323,377	519,504	(848,743)	–
სულ აქტივები, შიდა	280,619	1,199,624	772,662	(848,743)	1,404,162
სულ ვალდებულებები					
სულ ვალდებულებები შიდა					
სეგმენტურის გარდა	(516,691)	(613,655)	(209,389)	–	(1,339,735)
შიდა სეგმენტური	(431,080)	(4,537)	(2,818)	438,435	–
სულ ვალდებულებები შიდა	(947,771)	(618,192)	(212,207)	438,435	(1,339,735)

ფინანსური შემოსავალი და ხარჯი არ გადანაწილდება ინდივიდუალურ სეგმენტზე, რადგან საბაზისო ინსტრუმენტები ჯგუფის დონეზე იმართება. შიდა სეგმენტური ამონაგები, ხარჯები, აქტივები და ვალდებულებები კონსოლიდაციისას ელიმინირდება და აისახება „ელიმინაციების“ სვეტში.

24. არაფულადი ოპერაციები

საოპერაციო და საინვესტიციო საქმიანობები, რომლებიც არ საჭიროებს ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების გამოყენებას, 31 დეკემბრით დასრულებულ წელს ასეთი იყო:

	2024	2023
გადავადებული გადახდის პირობით შემენილი ძირითადი საშუალებების ცვლილების დინამიკა	9,761	7,767
მთავრობისგან გრძელვადიანი გადავადებული გადახდის პირობით შემენილი ძირითადი საშუალებები	8,347	89,318

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)

25. აუდიტორის ანაზღაურება

	2024	2023
ჯგუფის წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტის საფასური		
31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	742	519
სხვა მარწმუნებელი მომსახურებების დანახარჯები	336	409
სხვა პროფესიული მომსახურებების დანახარჯები	653	285
სულ საზღაური და დანახარჯები	1,731	1,213

2024 წელს სხვა პროფესიულ მომსახურებებთან დაკავშირებული სხვა აუდიტორების და აუდიტორული ფირმების საზღაურები მოიცავს 336 ლარს (2023 წ.: 409 ლარი), დღგ-ის გამოკლებით.

მმართველობის ანგარიშგება

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“



სარჩევი

1. საქმიანობის მიმოხილვა	3
2. ორგანიზაციული სტრუქტურა	5
3. საკადრო პოლიტიკა.....	5
4. ჯგუფის განვითარების გეგმები	6
5. ჯგუფის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები.....	6
6. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ.....	6
7. კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა.....	6
8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები.....	8
9. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა.....	8

ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ ხელმძღვანელობას და პარტნიორებს

ჩვენ აუდიტირებულ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე 2025 წლის 8 ივლისს
გაცემულ დასკვნაში გამოვთქვით არამოდიფიცირებული აუდიტორული მოსაზრება.
აუდიტირებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ ასახავს აუდიტირებულ
კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენ მიერ გაცემული დასკვნის თარიღის შემდეგ
მომხდარი მოვლენების შედეგებს. ჩვენ არ ჩავვიტარებთ მმართველობის ანგარიშგებაში
ასახული იმ მოვლენების შედეგების აუდიტი, რომლებიც დადგა ჩვენ მიერ აუდიტირებულ
კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გაცემული აუდიტორის დასკვნის თარიღის
შემდეგ.

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია,
რომლისთვისაც მომზადდა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება,
შესაბამისობაშია კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- მმართველობის ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს
ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის
მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.



ანა კუსრაშვილი (SARAS-A-169041)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

თბილისი, საქართველო

29 სექტემბერი, 2025 წ.

1. საქმიანობის მიმოხილვა

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“ (შემდგომში „სოკარი“ ან „კომპანია“) ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მიხედვით წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც რეგისტრირებულია თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ 2006 წლის 17 აგვისტოს (ს/ნ 202349440) და მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანიის იურიდიული მისამართია: საქართველო, თბილისი, 300 არაგველის ქ. 24.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ აქციონერები არიან:

- აზერბაიჯანის რესპუბლიკის სახელმწიფო ნავთობის კომპანია (შემდგომში „მშობელი კომპანია“) – 91.835%
- Intersun Holding FZCO – 8.165%

2024 წლის 4 აპრილს მშობელმა კომპანიამ შეიძინა კომპანიაში 16.33%-იანი წილი არამაკონტროლებელი მფლობელისგან „Eventus General Trading FZE“ და მფლობელობის სტრუქტურა 91.835% და 8.165%-ით შეიცვალა მშობელი საწარმოსა და „Intersun Holding FZCO“-სთვის, შესაბამისად.

2024 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯია“ ფლობს შემდეგ შვილობილ საწარმოებს (შემდგომში „ჯგუფი“):

შვილობილი კომპანია	წილობრივი მონაწილეობა	რეგისტრაციის ქვეყანა	სფერო
შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლუმი“	100%	საქართველო	ნავთობპროდუქტები
შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“	100%	საქართველო	ბუნებრივი გაზით კომუნალური მომსახურება
შპს „თელავგაზი“	100%	საქართველო	ბუნებრივი გაზით კომუნალური მომსახურება
შპს „სოკარ ჯორჯია სექიურითი“	100%	საქართველო	სხვა
შპს „ს მარკეტს“	100%	საქართველო	საცალო ვაჭრობა
შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლუმი-სამტრედია“	75%	საქართველო	ნავთობპროდუქტები
შპს „ინდუსტრი კომპანი“	100%	საქართველო	მშენებლობა
შპს „ობიექტი“	55%	საქართველო	ნავთობპროდუქტები
შპს „ინტერნეშნლ რელივეი ექსპედიშნ“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
შპს „ყულევი ოილ ტერმინალი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „წყალტუბო გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ბაღდადი გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ზესტაფონი გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „აბაშა გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ზუგდიდი გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ახმეტა გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „დედოფლისწყარო გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ხარაგაული გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ჩოხატაური გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ლაგოდეხი გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ყვარელი გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „საგარეჯო გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „გურჯაანი გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „სიდნაღი გაზი“	91.88%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ოზურგეთი გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ლანჩხუთი გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ჭიათურა გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ხობი გაზი“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო
სს „ფოთის ბუნებრივი გაზის კომპანია“	100%	საქართველო	დროებით უმოქმედო



ჯგუფის მმართველობითი ორგანოებია სამეთვალყურეო საბჭო, გენერალური დირექტორი და აღმასრულებელი დირექტორი.

ჯგუფის ძირითადი საქმიანობაა:


- ნავთობპროდუქტების იმპორტი და რეალიზაცია, როგორც საცალო ასევე, საბითუმო კლიენტებზე.
- ბუნებრივი აირის იმპორტი და გაზგამანაწილებელი ქსელის მეშვეობით მიწოდება იურიდიულ და ფიზიკურ პირებზე საქართველოს რეგიონებში.

ჯგუფის უმსხვილესი შვილობილი კომპანიებია: შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ და შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“:

- შპს „სოკარ ჯორჯია გაზის“ ძირითადი საქმიანობაა ბუნებრივი გაზის მიწოდება საყოფაცხოვრებო და არასაყოფაცხოვრებო მომხმარებლებზე; ასევე, გაზის განაწილება საქართველოს რეგიონებში. 2024 წელს შპს „სოკარ ჯორჯია გაზმა“ საკუთარ ქსელზე მიაერთა დაახლოებით 19,027 ახალი აბონენტი, წლის ბოლოსთვის კი აბონენტების ჯამურმა რაოდენობამ 578,152-ს მიაღწია. მომხმარებლებს ემსახურება 34 სერვისცენტრი 5 რეგიონში.
- შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმის“ ძირითად საქმიანობას წარმოადგენს ნავთობპროდუქტების იმპორტი და მათი საცალო და საბითუმო რეალიზაცია. შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ საქართველოს მასშტაბით ოპერირებს 107 ავტოგასამართი სადგურით და 13 კლიენტთა მომსახურების ცენტრით. ამ სადგურების ნაწილი არის ჯგუფის მფლობელობაში, ხოლო ნაწილი იჯარითაა აღებული. შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლეუმი“ არის ინდუსტრიის ერთ-ერთი ყველაზე მსხვილი მოთამაშე და ბაზრის ლიდერი, რომელიც საქართველოში ფუნქციონირებს 2006 წლიდან.

2. ორგანიზაციული სტრუქტურა

შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიას“ მართავს გენერალური დირექტორი, რომელიც ანგარიშვალდებულია სამეთვალყურეო საბჭოს წინაშე. ჯგუფში შემუშავებულია ცენტრალიზებული მართვის სტრუქტურა:



შპს „სოკარ ენერჯი ჯორჯიაში“ მომუშავე თანამშრომლები მომსახურებას უწევენ შვილობილ კომპანიებს და ჩართული არიან მართვის პროცესებში.

3. საკადრო პოლიტიკა

2024 წელს ჯგუფში დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა შეადგენდა 4,238 ადამიანს.

ჯგუფი მუდმივად ზრუნავს თანამშრომლების პროფესიულ განვითარებაზე. შემუშავებულია საბონუსე სისტემა, რომლის საფუძველზეც თანამშრომლის მიერ გაწეული ეფექტური, ხარისხიანი და შედეგიანი სამუშაო პირდაპირ აისახება მისი ანაზღაურების მოცულობაზე.

თანამშრომელთა მოტივაციის გაზრდის მიზნით პერიოდულად ტარდება სხვადასხვა სახის აქტივობები და წამახალისებელ კონკურსები.

ჯგუფში მუდმივად ტარდება კვალიფიკაციის ასამაღლებელი ტრენინგები და სემინარები.

ჯგუფის სპეციფიკიდან გამომდინარე, პრიორიტეტულია თანამშრომელთა უსაფრთხოებისა და ჯანმრთელობის დაცვა.

4. ჯგუფის განვითარების გეგმები

ჯგუფი ორიენტირებულია მუდმივ განვითარებაზე. ევროკავშირთან ასოცირების ხელშეკრულების გაფორმებისა და საქართველოს ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანების შემდეგ, ჯგუფის სამომავლო გეგმებშია, შეასრულოს დირექტივები, რომელიც გაიწერება ენერგეტიკული სექტორისა და გარემოსდაცვითი მიმართულებით.

ჯგუფი აქტიურად გეგმავს განვითარების ელექტრო ტრანსპორტის დასამუხტი ინფრასტრუქტურა, გააფართოვოს მაღაზიათა ქსელი - “ვეიმარტის” - ქვეყნის მასშტაბით.

5. ჯგუფის ძირითადი ფინანსური და არაფინანსური მაჩვენებლები

2023 წელი		
დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	შემოსავალი	აქტივების ჯამური ღირებულება
4,010	2,051,969,000	1,404,162,000
2024 წელი		
დასაქმებულთა საშუალო რაოდენობა	შემოსავალი	აქტივების ჯამური ღირებულება
4,238	2,038,029,000	1,493,626,000

6. დამატებითი განმარტებები ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ

2024 წელს ჯგუფის მთლიანმა შემოსავალმა შეადგინა 2,038.029 მილიონი ლარი რაც 2023 წელთან შედარებით 0.68%-ით ნაკლებია.

2024 წლის განმავლობაში ჯგუფის მთლიანი ვალდებულებები გაიზარდა 2.5%-ით და წლის ბოლოს შეადგენს 1,373.224 მლნ ლარს.

2024 წელს ჯგუფის EBITDA (მოგება/(ზარალი) საგადასახადო, ცვეთის, ამორტიზაციის და საპროცენტო ხარჯებამდე) იყო 209.586 მლნ ლარი.

ჯგუფის საოპერაციო მოგება 2024 წელს იყო 55.975 მლნ ლარი.

7. კორპორატიული სოციალური პასუხისმგებლობა

სოკარი თანამედროვე, მართვისა და ხარისხის კონტროლის სხვადასხვა საერთაშორისო სტანდარტების საფუძველზე მოქმედი ორგანიზაციაა.

ჯგუფმა სოციალური პასუხისმგებლობის მიმართულებით დაგეგმილ აქტივობებს სისტემური სახე მისცა

და შექმნა გრძელვადიანი CSR სტრატეგია, რომელიც მოიცავს 5 მიმართულებას. ესენია:

- გარემოს დაცვა
- ახალგაზრდების მხარდაჭერა
- უსაფრთხოება
- ქალთა გაძლიერება
- შშმ პირების და ხანდაზმულების უფლებების რეალიზაცია

გარემოს დაცვა

- ჯგუფს აშენებული აქვს არაერთი სკვერი თბილისსა და რეგიონებში, მათ შორის რეკრეაციული ზონები თბილისსა და რუსთავში.
- ჯგუფი განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ნარჩენების მართვას და ყველა წესის დაცვით ახორციელებს უტილიზაციას.
- ჯგუფი ზრუნავს ეკოლოგიაზე საწვავის ხარისხის კონტროლით. კომპანიას გააჩნია საკუთარი აკრედიტებული ლაბორატორია და სისტემატურად წმენდს რეზერვუარებს.
- ჯგუფს დაწესებული აქვს საწვავის ხარისხის საერთაშორისო სერტიფიკატის მიღების პროცესი.
- ჯგუფის სადგურების უმრავლესობაზე (კახეთიდან ბათუმამდე არსებულ მთელს ავტობანზე და თბილისში) დამონტაჟებულია ელექტრო-მანქანების დამტენები.
- ბორჯომის ტყე-პარკის ტრაგიკული ხანძრის შედეგად განადგურებულ ტერიტორიაზე, კერძოდ 2 ჰექტარი მიწის ფართობზე, 4,700 ძირი ხე დაირგო.
- თბილისში, ისანი-სამგორის რაიონში, კერძოდ ვარკეთილის მესამე მიკრორაიონში არსებული ტერიტორია გამწვანდა და 1,500-მდე ძირი ხე დაირგო.

ახალგაზრდების მხარდაჭერა

- ჯგუფი აქტიურად უჭერს მხარს ახალგაზრდულ სპორტს, მეტწილად ფეხბურთსა და რაგბის.
- ახალგაზრდების მხარდაჭერა ჯგუფის CSR სტრატეგიის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი მიმართულებაა და Young Lions Georgia-სთან ჯგუფი უკვე რამდენიმე წელია თანამშრომლობს.
- Driving Academy, არის ავტოსკოლა რომელიც გაიხსნა სოკარის დახმარებით, ავტოსკოლაში ახალგაზრდებს მთელი წლის განმავლობაში შეასწავლიან ავტომობილის მართვას და გზებზე უსაფრთხოების წესებს.

ქალთა გაძლიერება

ბოლო წლების მანძილზე სოკარს რამდენიმე საინფორმაციო კამპანია ჰქონდა ქალთა გაძლიერების მიმართულებით.

- ცნობიერების ამაღლება საავტომობილო სტიკერების #ქალივიციმესაჭესთან საშუალებით და ამ ნაბიჯით არსებულ სტერეოტიპებთან შეწინააღმდეგება.
- იგივე კამპანიის ფარგლებში ყოველკვირეული საინფორმაციო პოსტების გამოქვეყნება სოკარის ფეისბუქ გვერდზე, სადაც ასახულია ქართველ და უცხოელ ქალებზე საინტერესო ისტორიები, მათი სამეცნიერო მიღწევები და გამბედაობა.
- ქალთა გაძლიერების მიმართულებით, 2018 წელს, სოკარი შეუერთდა გაეროს ქალთა გაძლიერების პრინციპებს, რაც გულისხმობს სამუშაო ადგილებზე ქალთა უფლებების მაქსიმალურად დაცვას, ქალების წახალისებას მაღალი რგოლის მენეჯმენტის პოზიციებზე და ქალების დასაქმებას ე.წ. „არატრადიციულ თანამდებობებზე“. პროექტის მიზანია აგრეთვე სქესობრივი დისკრიმინაციისა და სექსუალური შევიწროვების აღმოფხვრა და პრევენცია.

- სოკარი ყოველთვის გვერდში უდგას ქართულ სპორტს და ამ მხრივ არც ქალთა ფეხბურთია გამონაკლისი.

უსაფრთხოება

- ჯგუფი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს საგზაო უსაფრთხოების საკითხებს და სამუშაო ადგილებზე თანამშრომლების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვას.
- სოკარი ნერგავს და მომავალშიც გააუმჯობესებს H&S სისტემებს იმისათვის, რომ მაქსიმალურად იყოს დაცული პერსონალის ჯანმრთელობა სამუშაო ადგილზე.
- კომპანია უზრუნველყოფს ყველა თანამშრომლის ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტს.
- ჯგუფი ეწევა საგზაო უსაფრთხოების წესებისა და სტანდარტების პოპულარიზაციას, სხვადასხვა კამპანიების საშუალებით სოციალურ ქსელებსა და მედიაში საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით.

შშმ პირების და ხანდაზმულების უფლებების რეალიზაცია

- ჯგუფი 2019 წლიდან მხარს უჭერს პროექტს „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქია“ პროექტის ფარგლებში, ყოველწლიურად მრავალი სპორტული ღონისძიება და სპორტული ბანაკი იმართება. ბანაკში მონაწილეობას იღებენ საომარი მოქმედებების დროს დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეები, ვეტერანები, ცნობილი სახეები და რეგიონებში მცხოვრები შშმ პირები.
- ჯგუფმა დაიწყო სადგურებზე არსებული სველი წერტილების ეტაპობრივი ადაპტაცია.
- შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ წლების განმავლობაში აფინანსებს ზესტაფონის კათარზისის ფილიალს.

8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ყველაზე მნიშვნელოვანი რისკია ლარის გაუფასურება და შესაბამისად, არასტაბილური ფასები. აღნიშნული რისკების შესამცირებლად ჯგუფი მუდმივად აკეთებს რეორგანიზაციას, კადრების გადამზადებას და ხარჯების ოპტიმიზაციას.

9. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ციფრული ტექნოლოგიების განვითარება, რომლის საშუალებითაც ხდება დანახარჯების ოპტიმიზაცია და შესაბამისად, მიღწეული შედეგების გაუმჯობესება.

სამუშაო პროცესებში აქტიურად ახალი ტექნოლოგიების გამოყენება: ხოლო ცნობადობისა და ლოიალური მომხმარებლების გაზრდის მიზნით აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელსა და ვებ-გვერდებს.

- სოკარი ყოველთვის გვერდში უდგას ქართულ სპორტს და ამ მხრივ არც ქალთა ფეხბურთია გამონაკლისი.

უსაფრთხოება

- ჯგუფი მნიშვნელოვან ყურადღებას უთმობს საგზაო უსაფრთხოების საკითხებს და სამუშაო ადგილებზე თანამშრომლების ჯანმრთელობისა და სიცოცხლის დაცვას.
- სოკარი ნერგავს და მომავალშიც გააუმჯობესებს H&S სისტემებს იმისათვის, რომ მაქსიმალურად იყოს დაცული პერსონალის ჯანმრთელობა სამუშაო ადგილზე.
- კომპანია უზრუნველყოფს ყველა თანამშრომლის ჯანმრთელობის დაზღვევის პაკეტს.
- ჯგუფი ეწევა საგზაო უსაფრთხოების წესებისა და სტანდარტების პოპულარიზაციას, სხვადასხვა კამპანიების საშუალებით სოციალურ ქსელებსა და მედიაში საზოგადოების ცნობიერების ამაღლების კუთხით.

შშმ პირების და ხანდაზმულების უფლებების რეალიზაცია

- ჯგუფი 2019 წლიდან მხარს უჭერს პროექტს „აქტიური ცხოვრება ჩემი სტიქია“ პროექტის ფარგლებში, ყოველწლიურად მრავალი სპორტული ღონისძიება და სპორტული ბანაკი იმართება. ბანაკში მონაწილეობას იღებენ საომარი მოქმედებების დროს დაჭრილი სამხედრო მოსამსახურეები, ვეტერანები, ცნობილი სახეები და რეგიონებში მცხოვრები შშმ პირები.
- ჯგუფმა დაიწყო სადგურებზე არსებული სველი წერტილების ეტაპობრივი ადაპტაცია.
- შპს „სოკარ ჯორჯია გაზი“ წლების განმავლობაში აფინანსებს ზესტაფონის კათარზისის ფილიალს.

8. ძირითადი რისკები და გაურკვევლობები

ყველაზე მნიშვნელოვანი რისკია ლარის გაუფასურება და შესაბამისად, არასტაბილური ფასები. აღნიშნული რისკების შესამცირებლად ჯგუფი მუდმივად აკეთებს რეორგანიზაციას, კადრების გადამზადებას და ხარჯების ოპტიმიზაციას.

9. კვლევებისა და განვითარების სფეროში ჩატარებული ღონისძიებების მიმოხილვა

ჯგუფის ერთ-ერთი მთავარი მიმართულებაა ციფრული ტექნოლოგიების განვითარება, რომლის საშუალებითაც ხდება დანახარჯების ოპტიმიზაცია და შესაბამისად, მიღწეული შედეგების გაუმჯობესება.

სამუშაო პროცესებში აქტიურად ახალი ტექნოლოგიების გამოყენება: ხოლო ცნობადობისა და ლოიალური მომხმარებლების გაზრდის მიზნით აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელსა და ვებ-გვერდებს.

გიორგი ჯაფარიძე
აღმასრულებელი დირექტორი



29 სექტემბერი 2025